გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 71
(11 937)

13 – 15 სექტემბერი, 2005 წ.
ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„იპონი“ ქართულ ძიუდოს? – არასდროს!

რა თქმა უნდა, ის, რაც კაიროში ძიუდოში მსოფლიო ჩემპიონატზე მოხდა, ღრმად დამაფიქრებელია, მაგრამ არანაირად უიმედო განაჩენი. არც ერთი მწვრთნელი არ ჩაუნერგავს უპირველესად თავის შეგირდებს და შემდეგ ქომაგებს პესიმიზმს საპასუხისმგებლო ასპარეზობის წინ, მით უფრო თუ იგი მსოფლიო რანგისაა. ანუ იმის თქმა გვინდა, რომ ყველაზე უკეთ, ალბათ ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა და გამოცდილმა ორგანიზატორმა დილარ ხაბულიანმა იცოდნენ, რომ გუნდი გარდუვალი რეფორმირების პროცესშია, რასაც მუდამ ახლავს დაღმასვლის პროცესი, ვიდრე კვლავ არ მიიღწევა სტაბილურობა. არ შეიძლება ყველა სპორტსმენს ყველა შეჯიბრებაში უმაღლესი ჯილდო მოსთხოვო. ზოგს ჯანმრთელობა არ უწყობს სრულად ხელს, ზოგს ტიტულების სიმძიმე, ზოგს მეტოქის ავტორიტეტი თრგუნავს, განსაკუთრებით თუ ადრე მასთან წაუგია, ზოგიც პიკს უდროოდ კარგავს, ან ასაკის გამო ეწყება დაღმასვლა. ცუდია, როცა ასეთი უარყოფითი ფაქტორები მომრავლდება გუნდში, თუმცა, გამორიცხული არაფერია.

დარწმუნებით შეიძლება ვთქვათ: უიმედობა არ უნდა გავიკაროთ და ღრმად უნდა გვწამდეს, რომ ჩვენი ნაკრები მთავარი მწვრთნელის შოთა ხაბარელის თავკაცობით, ფედერაციასთან ერთად უთუოდ გამოიყვანს გუნდს დროებითი კრიზისიდან. ნუ ვიფიქრებთ, რომ იმიჯი შეგველახა მსოფლიოს სარბიელზე. ცხადია, ჩვენი ფალავნებისგან მეტს მოელოდნენ, მაგრამ უპირველესი გულშემატკივარი ხომ მაინც ჩვენ ვართ, ქართველები. სასურველზე ნაკლები მიღწევის მიზეზები ნაკრების თავკაცებმა, ეჭვიც არ გვეპარება, ჩინებულად იციან. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნაკრების განახლება დაწყებულია და პირველი შედეგი იგივე კაიროში გამოჩნდა. ხომ გავიდა ნაკრების დებიუტანტი გიორგი ყიზილაშვილი ნახევარფინალში. საბოლოოდ მის მიერ დაკავებული V ადგილი კი ძალიანაც საიმედოა.

მოკლედ, გვჯეროდეს, რომ ქართული ძიუდო „იპონს“ არასდროს იგემებს. „ჩუი“, კი ბატონო, უკვე ვიგემეთ!

მიმომხილველი.

კვარცხლბეკი. 60 კგ: 1. კრეიგ ფელონი (ბრიტ), 2. ლუდვიგ პატშერი (ავსტრია), 3. ნიჯად შიხალიზადე (აზერ) და ჩო ნამ სუკი (კორ); **66 კგ:** 1. ჟოაო დერლი ჟუნიორი (ბრაზ), 2. მასატო უჩიშიბა (იაპ), 3. არაშ მირესმაილი (ირანი) და მიკლოშ უნგვარი (უნგრ); **73 კგ:** 1. აკოშ ბრაუნი (უნგრ), 2. ფრანჩესკო ბრუტიერესი (იტ), 3. გენადი ბილოდიდი (უკრ) და კიოში ქემაიცუ (ესპ); **81 კგ:** 1. გიიომ ელმონტი (ჰოლ), 2. აბდერაჰმან ბენამადი (ალჟ), 3. რომან გონტიუკი (უკრ) და ტაკაშო ონო (იაპ); **90 კგ:** 1. პიროში იზუმი (იაპ), 2. ილიას ილიადისი (საბ), 3. მარკ ჰუზინგა (ჰოლ) და ანდრეი კაზუსიონაკი (ბელ); **100 კგ:** 1. კეიგი სუზუკი (იაპ), 2. ვიტალი ბუბონი (უკრ), 3. დმიტრი კაბანოვი (რუს) და ლუსიანო კორეა (ბრაზ); **მძიმე:** 1. ალექსანდრ მიხაილინი (რუს), 2. იასუიუკი მუნეტა (იაპ), 3. **ლაშა გუჯეჯიანი** (საქ) და პიერ რობენი (საფ); **აბსოლუტური:** 1. დენის ხესტი (ჰოლ), 2. ტამერლან ტმენოვი (რუს), 3. იოჰეი ტაკაი (იაპ) და იური რიბაკი (ბელ).

ჩვენები კვარცხლბეკს მიღმა: ნესტორ ხერგიანმა (60) დათმო მეოთხედფინალი და დამამშვიდებელი პირველივე ბრძოლა; **დავით მარგოშვილმა** (66) დაიკავა მე-5 ადგილი. წააგო ნახევარფინალი, შემდეგ მესამე ადგილისთვის შეხვედრა; **დავით ქევხიშვილი** (73) ორი წაგებით გამოეთიშა ტურნირს. **გრიგოლ შინჯიკაშვილმა** (81) წააგო სამი და დამამშვიდებლის პირველი შეხვედრა; **ზურაბ ზვიადაური** (90) ჯერ პირველ, შემდეგ დამამშვიდებელ ბრძოლაში დამარცხდა და ტურნირს გამოეთიშა; **გრიგოლ გუგავა** (100) დამარცხდა მეორე წრეში; **გიორგი ყიზილაშვილმა** (აბსოლუტური) დაიკავა მე-5 ადგილი. წააგო ნახევარფინალი და მესამე ადგილისთვის შეხვედრა.

მორაგბეები იწყებენ...

ხვალ სტარტს აიღებს საქართველოს უმაღლესი ლიგის მორაგბეთა ეროვნული გუნდების ჩემპიონატი. მოხდა ისე, რომ ეროვნული ჩემპიონატი თბილისის პირველობად იქცა, რადგან ხუთივე გუნდი, რომელიც ჩემპიონატს შემორჩა, დედაქალაქიდანაა. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ქართულ სარაგბო სამყაროდან ბათუმის „დათვების“ ჩამოშორება, რისი მიზეზიც დაუფინანსებლობა გახდა. ქუთაისის „აია“ კი დაბალ ლიგაშია დაქვეითებული.

ხვალ „აკადემია“ „ხულიგანას“ ხვდება, „ლოკომოტივი“ — „ყოჩებს“. „ლელო“ ისვენებს. ბოლო X ტური 30 ოქტომბერს გაიმართება.

ჩემპიონატი ჩატარდება ორ წრედ. შემდეგ ოთხი საუკეთესო გუნდი ფლეიოფში გააგრძელებს თამაშს.

პირველ ლიგაშიც 5 გუნდი ასპარეზობს. პირველადგილოსანი უმაღლესში გადავა. მეორეადგილოსანი კი გადასასვლელ მატჩში 31 ოქტომბერს და 4 ნოემბერს უმაღლეს ლიგაში ბოლო ადგილზე გასულს შეხვდება.

ჩვენები B ლიგაში ჩარჩნენ

ვერა, A დივიზიონში ვერ ავინაცვლეთ, თუმცა, ევროპის ჩემპიონატის წლევანდელ შესარჩევ ციკლში ამის არცთუ ურიგო შანსი გვქონდა. საქმე გართულდა მას შემდეგ, რაც ფინეთთან სტუმრად წავაგეთ. შინ ლუქსემბურგთან 87:65 (24:7, 18:19, 22:19, 23:20) მოგების შემდეგ კი ჩვენი ბედის სასიკეთოდ შემოტრიალება ფინეთ-მაკედონიას შეხვედრის შედეგზე იყო დამოკიდებული. სამწუხაროდ, ისე არ მოხდა, როგორც ჩვენ გვსურდა. ჯგუფში მეორე ადგილზე დავრჩით.

მაკედონიამ ფინელები ფინეთში 83:70 დაამარცხა, ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდა და ფლეი-ოფში C ჯგუფში პირველადგილოსან ავსტრიის ნაკრებს შეხვდება.

ჩვენ ისევ მოცდა მოგვიწევს. ჯერ საბოლოოდ არაა გადაწყვეტილი დარჩება თუ არა საქართველოს ნაკრებში მთავარ მწვრთნელად გორდონ ჰერბერტი.

საბოლოო ცხრილი

	მ	წ	ქ
მაკედონია	5	1	11
საქართველო	4	2	10
ფინეთი	3	3	9
ლუქსემბურგი	0	6	6

დღეს, სპორტის აკადემიაში

სტუდენტთა თაოსნობით, დღეს, 13 სექტემბერს სპორტის აკადემიაში იმართება პრესკონფერენცია ადრე გასხვისებული აკადემიის სპორტული ბაზების სასწავლებლისთვის დაბრუნებასთან დაკავშირებით.

ხვალ, ბათუმში სუპერთასი გათამაშდება

ხალ, 14 სექტემბერს, 16 საათზე ბათუმის ცენტრალური სტადიონი საქართველოს სუპერთასის მეხუთე გათამაშებას უმასპინძლებს.

საპატიო პრიზისთვის ტრადიციულად ქვეყნის ჩემპიონი თბილისის „დინამო“ და თასის მფლობელი თბილისის „ლოკომოტივი“ იბრძოლებენ. მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს ორი ტელეკომპანია „იმედი“ და „აჭარა“ გადასცემს. საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის მესვეურთა განმარტებით, სათასო პაექრობების ფინალები მომავალში შეიძლება პროვინციებში ჩატარდეს. პრინციპულ, დასამახსოვრებელ მატჩებს გულშემატკივარი და მაყურებელი პერიფერიებში მრავლად ეყოლება. უპირველესად სწორედ რეგიონებში ქომაგთა მოზიდვისათვის ალდგა სუპერთასის გათამაშება. ეს ქართული ფეხბურთისთვის საჭირო საქმეა. მატჩამდე საქართველოს ჰიმნს ჯეოსტარის გამარჯვებული აჩიკო ნიჟარაძე შეასრულებს, ასევე, შეხვედრის დაწყებამდე და შესვენებისას, გულშემატკივრებს, რამდენიმე სიმღერას შესთავაზებს ლექს-სენი. თავის დროზე „დინამო“ სუპერთასს სამჯერ ფლობდა. „ლოკომოტივი“ პრიზისთვის პირველად იბრძოლებს.

ტალინში ევროპული საგზურისთვის

ესტონეთის დედაქალაქს კობა ჟორჟიკაშვილის საქართველოს 19 წლამდელ ჭაბუკთა ნაკრები ორი წლით უფროს, ახალგაზრდულ გუნდში ასპარეზობით მიღებული გამოცდილებით ეწვია.

ჩვენი ნაკრები ესტონელ, ლიტველ და სლოვენიელ თანატოლებს ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ეტაპის საგზურისთვის შეებრძოლება. პირველი ეტაპის შესარჩევი ჯგუფიდან, მომდევნო საგაისო, მეორე ეტაპზე, ასევე ოთხგუნდიან ჯგუფში გავა ორი საუკეთესო ნაკრები.

ქართველი ჭაბუკებისთვის ტალინური ტურნირის განრიგი ასეთია: **13 სექტემბერი.** საქართველო — ლიტვა, **15 სექტემბერი.** საქართველო — სლოვენია, **17 სექტემბერი.** საქართველო — ესტონეთი. ყველა მატჩი თბილისის დროით 17 საათზე დაიწყება.

მწვრთნელთა განკარგულებაში 18 ფეხბურთელია: ნუკრი რევიშვილი, რევაზ თევდორაძე, გიორგი ხიდეშელი, გიორგი განუგრავა, მიხეილ თოფურია, ნუკრი გოგოხია, გოგა გიორგაძე, ლერი ხოხონიშვილი, ლადო ლაფერაშვილი, ბექა გოცირიძე, დავით მჭედლიშვილი, მირზა ბჟალავა, რატი წინამძღვრიშვილი, ზურაბ გვაძაბია, გიორგი ელბაქიძე, კახი მახარაძე, ირაკლი ჩირიკაშვილი, გულვერდ თომაშვილი.

თბილისის დინამო — ბელგიის „ლა-განტუაზი“. ვლადიმერ ბარქაიამ ხუთი (!) მცველი წამოაწვინა მინდორზე. მისი ნიჭის უდიდესმა თაყვანისმცემელმა, მწერალმა ლევან ხაინდრავამ ამ სურათს „ბარქაიას ბალეტი“ უწოდა.

შეხვედრა წარსულთან

იუმორით დაჯილდოებული ვლადიმერ ბარქაია

1963 წლის მარტის პირველ რიცხვებში გაზეთ „თბილისის“ რედაქტორმა **ნიკოლოზ ჯაშმა** გამომიძახა და მითხრა:

— შალვა ვიქტოროვიჩ (ჩემდა გასაოცრად, უფალი რედაქტორი მამის სახელით მარტო მე მომმართავდა), სასწრაფოდ გააფორმე მივლინება და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა საწვრთნელ ბაზას დაბა ლესელიძეს ესტუმრე.

რედაქტორის დავალებას დიდი სიხარულით შევხვდი და თბილისი — სოჭის მატარებელმა მარტის იმ მზიან დილით თვალწარმტაც კურორტ ლესელიძეში ჩამიყვანა. ჩემი იქ გამგზავრების მიზანს, რა თქმა უნდა, ქართული ფეხბურთის ფლაგმანის — თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის 1963 წლის ჩემპიონატისადმი სამზადისი წარმოადგენდა.

როცა „დინამოს“ საწვრთნელ ბაზას ვეწვიე, იქ რამდენიმე ჩემი კოლეგა დამხვდა, რომლებიც დაბა ლესელიძეში იგივე მიზნით იყვნენ ჩასულები, როგორც ამ სტრიქონების ავტორი. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა საქართველოს რადიოს სპორტული კომენტატორი, ჩემი უნივერსიტეტელი თანაკურსელი **ნოდარ („აშხენა“) გიორგობიანი**. სულმნათმა ნოდარმა, ჩემსავით „ულალატა“ ისტორიკოსის პროფესიას და როგორც ჩინებულმა კალათბურთელმა, სპორტული ჟურნალისტის უაღრესად ძნელი და დაუფასებელი ხელობა აირჩია.

— კოლეგებო, — ძმებო, მოგვმართა ნოდარ გიორგობიანმა, **მიხეილ იაკუშინი,** ცოტა უქმური, უხასიათო მწვრთნელია. მოდით, ვთხოვოთ, რომ „დინამოს“ სეზონისადმი მზადების ინტერვიუ რომელიმე ოთახში მოგვცეს. დამიჯერეთ, ასე უფრო კარგია, ვიდრე ცალ-ცალკე გავუბათ საუბარი, — ეს იდეა იქ მყოფ სპორტულ ჟურნალისტთა დიდ ჯგუფს მოეწონა. მალე პანსიონატის კიბეებზე თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი, სპორტულ ფორმაში გამოწყობილი „ცბიერ მიხეიდ“ მონათლული იაკუშინი გამოჩნდა. „აშხენამ“ გაუღიმა ამაგდარ მწვრთნელს, თავისი მოსაზრება მოახსენა და სათითაოდ წარუდგინა თითოეული ჩვენგანი, არც იმ გაზეთების დასახელება დაავიწყდა, რომელთა ინტერესს თითოეული ჩვენგანი წარმოადგენდა.

— იცით, ბიჭებო, დაიწყო „ცბიერმა მიხეიმ“, ახლა მარტის დასაწყისია და გუნდში სიახლეები თითქმის არაფერია. ალბათ, უმჯობესია თუ თქვენ მაისის ბოლოს სეზონი 4 აპრილს იხსნებოდა) გვეწვევით. მაშინ უფრო დაწვრილებით გიამბობთ ყოველივეს. იაკუშინი მიტრიალდა და თავისი ოთახისაკენ გაეშურა.

იხ. მე-3 გვ..

ფიფა ორი წევრით გაიზარდა

ფიფას წევრთა ასოციაცია ორი წევრით შეივსო და 207-მდე გაიზარდა. ახალი წევრები არიან აღმოსავლეთ ტიმორი და კომორის კუნძულები. ასეთი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა გუშინ, ფიფას კონგრესზე, რომელიც მიმდინარეობდა მაროკოში. აღმოსავლეთ ტიმორის ფეხბურთის ფედერაცია ჩამოყალიბდა 2001, ხოლო კომორის კუნძულისა 1979 წელს.

არსენ კასაბიევი

ფოტო რ. ბაგოიანისა

არსენ კასაბიევი რეკორდების კასკადით...

საქართველოს ძალოსანთა ეროვნულ ჩემპიონატში წლეულს, ამ ცოტა ხნის წინათ 105 კგ წონით კატეგორიაში ცხინვალელმა ათლეტმა შარშანდელი ოლიმპიური თამაშების მონაწილემ და იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა **არსენ კასაბიევმა** საქართველოს რეკორდი დაამყარა ატაცსა — 162,5 კგ და აკვრაში — 210 კგ. ახლა, ვაკეში, ძალოსნობის დარბაზში გამართულ უმაღლესი ლიგის დასკვნითი ეტაპის ბოლოსწინა ასპარეზობაზე კასაბიევმა თავისივე რეკორდი საკმაოდ შთამბეჭდავად გააუმჯობესა — ატაცში 172,5 კილოგრამი დაძლია, აკვრაში — 220. ამ წონაში მეორე მონაწილემ, აფხაზეთის წარმომადგენელმა **გიორგი მაჭავარიანმა** შესაბამისად 170 და 205 კგ დაიმორჩილა.

სენსაციურად იასპარეზა 62 კგ წონით კატეგრიაში დედოფლისწყაროელმა **ზვიად სამუკაშვილმა**, რომელმაც აკვრაში სამივე ცდა (შესაბამისად 103, 106 და 108 კგ) იუნიორთათვის სარეკორდო მაჩვენებლით დაასრულა. მერე ერთხელ კიდევ სცადა ძალა და 109 კგ-ს შეეჭიდა წარმატებით. ორჭიდის რეკორდი კი ორჯერ გააუმჯობესა (248 და 250 კგ). ამავე წონაში დიდების რეკორდი ორჯერ გააუმჯობესა ქუთაისელმა **პაატა მოდებაძემ** (118, 120). მოდებაძის თანაქალაქელმა **რაულ ცირეკიძემ** 85 კგ წონით კატეგორიაში ატაცში 146 და აკვრაში 182,5 კგ დაძლია. **თემურ გოგიამ** კი შესაბამისად 160 და 200 კგ. ასწია.

ემზადეთ

„სპორტი ყველასათვის!“

«მსოფლიო გულის დღისთვის»

2005 წლის 25 სექტემბერი მსოფლიოს კარდიოლოგთა ფედერაციამ გამოაცხადა **„მსოფლიო გულის დღედ“**. თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახური (უფროსი **გიორგი უდესიანი**) 25 სექტემბერს ატარებს მძლეოსნურ გარბენს რესპუბლიკის მოედნიდან თავისუფლების მოედნამდე. მონაწილეობა შეუძლია ყველა ასაკის მსურველს, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებს.

გამარჯვებულები და პრიზიორები გამოვლინდებიან სპორტსმენთა, ვეტერანთა და შეზღუდული შესაძლებლობების პირთა კატეგორიებიდან, რომლებსაც გადაეცემათ პრიზები.

აუცილებელია განაცხადის წარდგენა.

წარმომადგენელთა და მსაჯთა თათბირი გაიმართება 16 სექტემბერს, 13 საათზე, სპორტის საქალაქო სამსახურში (კონსტიტუციის ქ. №6).

დებულება შეთანხმებულია და დამტკიცებულია თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის, საქართველოს სპორტის დეპარტამენტის, საქართველოს გულის ფონდის, მძლეოსნობის ფედერაციის, საქართველოს პარაოლიმპიური კომიტეტისა და საქართველოს ეროვნული ფედერაციის „სპორტი — ყველასათვის!“ ხელმძღვანელთა მიერ.

ქართული ხელბურთიდან აჩრდილიღა დარჩა?

ცნობილია, რომ ბოლო წლებში ჩვენი ვაჟი ხელბურთელები ყველა თითქმის შინ გასამართ მატჩსაც კი სტუმრად ატარებენ. ვითარება არც ამჯერად შეცვლილა. ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე თბილისის „თბილისმა“ ისლანდიაში რეიკიავიკის „ვალურთან“ შინ გასამართი მატჩიც იქვე ითამაშა და ორივე შეხვედრაში ისე სამარცხვინოდ დამარცხდა, ქართული ხელბურთის ტრადიციებს რომ არ ეკადრება — 15:51 და 13:47. როგორც ხედავთ, ორი მატჩის ჯამში 28:98, ანუ 70 ქულით წავაგეთ!

უკეთეს შედეგს ალბათ არც სხვა ქართული გუნდებიდან მოველით, რომლებიც მალე ჩაებმებიან ევროტურნირებში.

განათლების რეფორმა და სპორტის აკადემია

უპირველესად თავისი პროგრესული მიმართულებით, განათლების რეფორმა საქართველოში, უმნიშვნელოვანესი მოვლენა და ახალი გზის დასაწყისია ერის სულიერ ცხოვრებაში.

ისტორიულად, განათლება ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური წყობის ადეკვატურია. XX საუკუნის ბოლო 70-წლიანი საგანმანათლებლო სისტემას ეროვნულს ვერ დაარქმევდი. ის სულ სხვა ფასეულობებთან და პრინციპებთან იყო წილნაყარი. ხოლო თუ რას ემსახურებოდა, გარდა ახლანდელი მოსწავლეებისა და პირველკურსელი სტუდენტებისა, ყველამ კარგად იცის.

დღეს, ჩვენში, დამოკიდებულება განათლებისადმი იცვლება, საერთოდ, არა მხოლოდ საზოგადოების ცნობიერებაში, არამედ თვით ახალგაზრდების შეგნებაში, კონკრეტულად, ეს უკვე რევოლუციური გარდაქმნაა.

ეროვნული განათლების სისტემის პირველი მერცხლები სწორედ ისინი არიან, ვინც წლეულს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით ჩაირიცხნენ ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში.

რა განასხვავებს განათლების ახალ სისტემას ადრინდელისგან და რას დაუდო სათავე ერთიანი ეროვნული გამოცდების დამკვიდრებამ?

უპირველესი, რაც ესოდენ მკაფიოა და ნიშანდობლივი, ისაა, რომ ერთბაშად ამოიშანთა უმაღლეს სასწავლებლებში ნათესაობით, ნაცნობ-მეგობრობით, რაღაც დამსახურებით, მაქინაციებით თუ ქრთამის გაღებით ფესვგადგმული ჩარიცხვის მანკიერი „პირობები“. გზა გაეხსნა და გასაქანი მიეცა სამართლიანობასა და ცოდნას. თითქოს წარმოუდგენელი იყო, მაგრამ ადამიანებმა, მთელმა საზოგადოებამ, ასევე ერთბაშად ირწმუნა, რომ, ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, უვიცობა ვეღარ იზეიმებს, აღარავინ დაიჩაგრება.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ქვეყანაში საერთო განათლებისა და სპეციალისტთა მომზადების ერთიანი სისტემის შემადგენელი ნაწილია. აქვე ვიტყვით, ესაა ის სფერო, რომლის სპეციალისტებს პროფესიის „დევალვაცია“ არასდროს დაემუქრებათ, რადგან თვით სპორტია მარადიული. თავისი ფესვებით სპორტი ხომ კაცობრიობის ხნისაა. ამაში შევთანხმდეთ. საკითხავი და განსასჯელი, გნებავთ, დასახვეწი, მხოლოდ კადრების მომზადების ხარისხის დონეა. და აქვე მეორე კითხვა: არის კი მზად დღეს საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია იმისათვის, რომ ეს ამოცანა, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, წარმატებით გადაწყვიტოს?

მიტმასნილ და არაფრისმომცემ ადრინდელ დისციპლინებს თუ გამოვრიცხავთ, ეს უმაღლესი სასწავლებელი ყოველთვის ამზადებდა მაღალი კვალიფიკაციის კადრებს. სხვა პროფესიებს დაუფლებულნიც კი, თუ ისინი სპორტს უკავშირებდნენ თავიანთ მოღვაწეობას, თავს მოვალედ თვლიდნენ „კადრების ამ სამჭედლოში“ (ძველი გამოთქმაა) მიეღოთ განათლება დამატებით. არ ვაჭარბებთ, ამ სასწავლებლის დიპლომს აღიარებდნენ ნებისმიერ ქვეყანაში, რასაც სხვა დარგების სპეციალობებზე ვერ გეტყვით.

ახალ მემკვიდრეებს, ვისაც მომავალში დასაქმება სპორტის სფეროში სურთ, პრეტენზია ექნებათ უფრო მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტობაზე და აი, რატომ:

— სპორტის აკადემიაში წლეულს სწავლას იწყებენ ის სტუდენტები, რომლებიც შინაგანი მოწოდებით მოხვდნენ ამ უმაღლეს სასწავლებელში და არა სხვისი რჩევით და „ჩაწყობით“. მაშასადამე, მათ გულით სწადიათ გახდნენ მწვრთნელი, მასწავლებელი და ა.შ.;

— ახლანდელმა თაობამ კარგად იცის, რომ ცხოვრებაში ერთადერთი სავიზიტო ბარათი არის მხოლოდ ცოდნა. ამაში დარწმუნდნენ არა მხოლოდ უკვე გასტუდენტებულნი, არამედ ისინიც, ვინც სასურველი ზღვარი წლეულს ვერ გადალახა;

— მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი დგას ყოველთვის და ყველგან „შურზე მაღლა.“ მხოლოდ თავის საქმეში ღრმად განსწავლულ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს იმედი იმისა, რომ მოიპოვებს პირად კეთილდღეობას და საზოგადოების პატივისცემას.

როგორც ცხოვრების მიზანი, რაც ითქვა, არასდროს, არც ერთ წინა თაობაში, არ ყოფილა ისე ღრმად გამჯდარი ცნობიერებაში, როგორც ეს ამ თაობის სწავლამოწყურებულ ახალგაზრდებში შეიმჩნევა.

ცხოვრების ნებისმიერ სფეროში წინსვლას განაპირობებენ კადრები და რაც უფრო სრულყოფილია მათი განათლება, მით უფრო დაჩქარებულია წინსვლა, თვალსაჩინოა შედეგი. სხვათა შორის, მაღალგანვითარებული ქვეყნები ყველა დარგის სპეციალისტთა მომზადებას ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდებიან. იაპონია ავიღოთ. სწორედ მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებით და მათი შესაძლებლობების ეფექტური გამოყენებით გახდა შესაძლებელი ქვეყანას „გადაეწყვიტა ყველაზე მწვავე პრობლემები, ჩინეთი კი იქცა მსოფლიოს მეორე ზესახელმწიფოდ.“

ამ ორი აზიური ქვეყნის სპორტს ვინც კარგად იცნობს, დაგვეთანხმება, რომ ამ სფეროში დღეს იაპონელები და ჩინელები უკვე არაფრით ჩამორჩებიან ადრე ზესპორტულად ცნობილ სახელმწიფოებს.

დავუბრუნდეთ საკითხს — თუ რამდენადაა მზად საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია ახალი ფორმაციის კადრების მოსამზადებლად. ჯერ ის ვთქვათ, რომ აკადემიას აქვს უდიდესი გამოცდილება, ტრადიცია, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია. აქ უმაღლეს დონეზე ისწავლება ადამიანთა ანატომია, ფიზიოლოგია, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია, ბიომექანიკა, სხვა დისციპლინები, რაც აუცილებელია მაღალი კვალიფიკაციის კადრების აღსაზრდელად. მაგრამ, ამასთან, ხორციელდება რეფორმა. გარდაქმნა — განახლების გარანტს კი იძლევა კონკურსი, რომელიც უკვე გამოცხადებულია აკადემიის ახალი პედაგოგიური კადრებით შესავსებად. რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ამავე სასწავლებელში აღზრდილი მეცნიერის, პროფესორ დურმიშხან ჩიტაშვილის ხელმძღვანელობით, აკადემია თამამად მიდის რეფორმის გზით. ამ საქმეში აკადემიას სრულად აქვს გარანტირებული კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სპორტის დეპარტამენტის აქტიური მხარდაჭერა.

მთავარი ახლა, ალბათ ისაა, აკადემიის სასწავლო პროგრამამ სრულად უპასუხოს არა მხოლოდ სადღეისო, არამედ მომავლის მოთხოვნებს. სწორი გათვლები კადრების მომზადებაში, დიდად არის დამოკიდებული სასწავლო პროგრამაზე, რომლის ამოსავალი წერტილი, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში, ბუნებრივია, არის გამოცდილების განახლება და ეროვნული საფუძვლები. ამავდროულად, არანაკლებ მნიშვნელოვანია სპორტის სფეროში უკვე მომუშავე სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება, რაც ისევ და ისევ, ალბათ, სპორტის აკადემიამ უნდა იტვირთოს, როგორც ეს ხდებოდა ტრადიციულად.

XXI საუკუნე მოწოდებულია დააგვირგვინოს კაცობრიობის ოდინდელი სწრაფვა ფიზიკური და სულიერი სრულყოფისკენ. ფიზიკურად და სულიერად ჰარმონიულად განვითარებული თაობები რომ აღიზარდოს, ამ საქმის მოძღვარ-სპეციალისტთა გამორჩეული კადრები უნდა ჰყავდეს ქვეყანას.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია მტკიცედ უახლოვდება ამ ისტორიული მისიისთვის სრულ მზაობას.

თენგიზ გაჩეჩილაძე.

დარგის პროფკავშირის რიგგარეშე ყრილობა

საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა III რიგგარეშე ყრილობა შარშან, 8 ოქტომბერს გაიმართა. ჯერ ერთი წელიც არ გასულა და აი, დღის წესრიგში დადგა IV, თანაც ისევ რიგგარეშე ყრილობის ჩატარება, რაც ცხოვრების დინამიურობამ გამოიწვია. განვლილ 11 თვეში ბევრი ცვლილება მოხდა, რომელიც მხოლოდ ყრილობაზე საჭიროებდა დაკანონებას.

როგორც წესი, ჯერ განვლილ 11 თვეში გაწეული მუშაობის შედეგები განიხილეს და შეაჯამეს. მოხსენება გააკეთა ორგანიზაციის თავმჯდომარემ იროდი ბეჟაშვილმა. შემდეგ ცვლილებები შეიტანეს წესდებაში, აირჩიეს თავმჯდომარის მოადგილე, გადაახალისეს გამგეობის და საბჭოს შემადგენლობები, თავიანთი წევრები აღჭურვეს პროფკავშირების გაერთიანებისა და მის საკონტროლო — სარევიზიო კომისიაში წარმომადგენლის უფლებით, აირჩიეს საქართველოს პროფკავშირების რიგგარეშე VII ყრილობის დელეგატები.

დაფიქსირდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: მოხდა საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირთან ფეხბურთის მუშაკთა პროფესიული კავშირის შერწყმა (შეერთება).

დასასრულ, გაგაცნობთ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების რიგგარეშე VII ყრილობის დელეგატებს. ესენი არიან: ი. ბეჟაშვილი, დ. ხაბულიანი, ი. ხუციშვილი, შ. ხაბარელი, ი. რეხვიაშვილი, გ. ჩიქოვანი, ზ. დოლიძე, დ. ჭაფოძე, ნ. მესხი, მ. მნათობიშვილი, მ. სახვაძე, გ. ბოსტოღანაშვილი, ა. სანაძე, დ. კინწურაშვილი, თ. ლორთქიფანიძე.

ოლიმპიური ვიქტორინა

1. რომელი ქვეყანა მოკვეთეს აპარტეიდის გამო 1964 წლის ოლიმპიური თამაშებიდან?

ა. როდეზია
ბ. სამხრეთ აფრიკა
გ. კენია

2. რა ერქვა ლოს-ანჯელესის ალტერნატიულ თამაშებს, რომელიც გაიმართა მოსკოვში იმავე 1984 წელს?

ა — მეგობრობის თამაშები
ბ — კეთილი ნების თამაშები
გ — ალტერნატიული ოლიმპიადა

3. სად გაიმართა ოლიმპიური თამაშები 1904 წელს?

ა — პარიზში
ბ — ლონდონში
გ — სენტ ლუისში

4. რომელ წელს გარდაიცვალა თანამედროვე ოლიმპიადების ფუძემდებელი პიერ დე კუბერტენი?

ა — 1932 წელს
ბ — 1937 წელს
გ — 1938 წელს

5. დაასახელეთ რუსი ფეხბურთელი 1952 წლის ოლიმპიადის მონაწილე, რომელიც წარმატებით თამაშობდა აგრეთვე შაიბიან და ბურთიან ჰოკეის.

ა — ბობროვი
ბ — სალნიკოვი
გ — ილინი

პასუხები: 1 – ბ, 2 – ა, 3 – გ, 4 – ბ, 5 – ა.

მეთერთმეტე...

ქართული სპორტის ისტორიას სპორტსმენები, მწვრთნელები, სპორტის უჩინარი მსახურნი და ამ სფეროს თავკაცები ერთობლივად წერენ. „ლელო“ კი 1934 წლიდან აფიქსირებს ამ ისტორიას. ასე იქნება მომავალშიც.

ამჯერად გამოსაცემად მზადდება წიგნი „მეთერთმეტე“... რომლის ცალკეული თავების გამოქვეყნებას „ლელოში“ ვაგრძელებთ.

„ქართული გენიდან მოგვდგამს“...

„სიძლიერე ქართული გენიდან მოგვდგამს, მაგრამ ისეთს ვერაფერს ვაკეთებთ, უფრო უკეთესები რომ გავხდეთ.“ ამას რომ ამბობდა, ირაკლი მეძმრიაშვილს თითქმის ორი წელიწადი ჰქონდა გატარებული თავმჯდომარის სავარძელში. ეს დრო სრულიად საკმარისი იყო ღრმად ჩაწვდომოდა პრობლემებს, დაენახა პერსპექტივა. მაგრამ ოპტიმიზმის განსამტკიცებლად და მიზნის მისაღწევად საჭირო იყო დაბრკოლებებისაგან გზის გაწმენდა. სხვაგვარად ქართულ გენს ვერ მიეცემოდა გასაქანი.

„ისეთს ვერაფერს ვაკეთებთ, უფრო უკეთესები რომ გავხდეთ“, — სპორტისადმი საქვეყნო-საყოველთაო გულგრილობას გულისხმობდა ამ სიტყვებში ქართული სპორტის თავკაცი.

და მაინც, იმ პერიოდში იყო გარკვეული წარმატებები საერთაშორისო სარბიელზე. რომ ვთქვათ, მსოფლიოში საქართველოს სასახელოდ წარმოჩენისთვის ხელისუფლება სპორტსმენებს, მწვრთნელებს და ფუნქციონერებს ჯეროვნად ეხმარებოდა და პატივს მიაგებდა,. მართალი არ იქნება.

მაგრამ იქნებ საკუთარის დაუფასებლობაც სწორედ „ქართული გენიდან მოგვდგამს“.

ქვეყანაში გამოუსწორებელი გაჭირვებისა და უიმედობა-გულგატეხილობის მიუხედავად, საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე მიღწეულ წარმატებებს ჩუმი სიამაყით მაინც აღიქვამდა ჩვენი ხალხი — სითბოსა და სიყვარულს, ხელისუფლებისგან განსხვავებით, ალალად უნაწილებდა ჩვენს სპორტულ რაინდებს.

სახელმწიფო მოხელეთაგან, რა გასაკვირია, ყველაზე მეტად ქართული სპორტის ბედით თვით ამ დარგის თავკაცი იყო შეშფოთებული.

ქვეყნის პრეზიდენტი, მართალია, დაინტერესებას ავლენდა ქართული სპორტისადმი, მაგრამ ფუჭი იყო ყველაფერი. არანაირად არ ხერხდებოდა სიტყვისა და საქმის ერთიანობა. პრეზიდენტის დავალებები აშკარად იბლოკებოდა სწორედ იმ ინსტანციებში, სადაც უნდა ეზრუნათ მის შესრულებაზე. თუმცა, გამონაკლისი მხოლოდ სპორტი არ ყოფილა. მაშინ ასეთი დამოკიდებულება ცხოვრების წესად იყო დამკვიდრებული.

2001 წელს ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებში საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობა აშკარა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. საერთაშორისო სპორტულ სამყაროში საქართველოს, ქვეყნის შიგნით კი სახელმწიფოს პირველი პირის პრესტიჟი პრეზიდენტის ფონდმა სწორედ მაშინ იხსნა, როცა ყველა იმედი თითქმის გადაწურული იყო.

უპირველესი საზრუნავი — მომავალი ოლიმპიადისთვის მზადების დაწყებას ხელისუფლებაში თუ ნაადრევად თვლიდნენ, სპორტის დეპარტამენტის და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობაში უკვე დაგვიანებულად მიიჩნევდნენ. ქართული სპორტის უპირველესმა ჭირისუფალმა ამ ორმა ორგანიზაციამ მაშინ ყველაფერი გააკეთა, რომ სავალალო და კრიტიკულ ვითარებამდე არ მისულიყო საქმე. სეოკ-ის აქტიური მხარდაჭერით მოხერხდა და შეიქმნა ოლიმპიური მზადების შტაბი. ეს უკვე წინგადადგმული ნაბიჯი იყო. შემუშავდა კოორდინირებული მოქმედების გეგმა. რეზერვის მომზადების წინა პლანზე წამოწევით სპორტის ცალკეული სახეობების მესვეურებმა იგრძნეს, რომ მათ შრომას ჯერ კიდევ აფასებენ. ეს თვით სპორტსმენებისთვისაც დიდ სტიმულად იქცა.

ბევრს არ ეგონა, რომ ევროპის ახალგაზრდობის სპორტულ ფესტივალზე, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით იმართება ყოველ ორ წელიწადში, საქართველოს დელეგაციის გამგზავრება რეალურად მოხერხდებოდა. მოხერხდა! თანაც, ჩვენები, ბრწყინვალე მიღწევებით დაბრუნდნენ ესპანეთის ქალაქ მურსიადან.

ხელისუფლებას, კონტინენტის ახალგაზრდების ამ დიდ სპორტულ ფორუმში მონაწილეობის დაფინანსებაზე სიტყვის გაგონებაც არ სურდა. აი, ასეთ კრიტიკულ მომენტში ქართულ სპორტს, ამ შემთხვევაში მისი ხვალინდელი დღის წარმომადგენლებს, უანგარო დახმარების ხელი კიდევ ერთხელ გაუწოდა ცნობილმა ქველმოქმედმა გოგი თოფაძემ. მთელი დელეგაცია მან დააფინანსა.

„ერუნტელი მივლიდა და თავს უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობდი, როცა შუაგულ ევროპაში ქართული დროშა აღიმართა და ეროვნული ჰიმნი აჟღერდა“ — იგონებდა შემდეგ ბატონი გოგი.

გავა დრო, ქვეყანა მომძლავრდება, პრობლემა აღარ იქნება მისი სახელისა და დიდებისთვის სპორტსმენთა შეჯიბრებებზე მივლინება. მაგრამ მომავალს არ ექნება იმის მორალური უფლება, დაივიწყოს და მადლიერებით არ დააფასოს იმათი ღვაწლი, ვინც უერთგულეს გუშაგად ედგა ქართულ სპორტს მისი ყოფნა-არყოფნის ყველაზე მძიმე წლებში.

გოგი თოფაძეც მათ შორისაა და, რაღა თქმა უნდა, თვით ირაკლი მეძმარიაშვილი.

თენგიზ გაჩეჩილაძე.

გაგრძელება იქნება.

დასაწყისი იხ. „ლელო“ №67-70.

ბავშვთა ფეხბურთში თავჩენილი ზოგიერთი პრობლემის შესახებ

დღევანდელი ფეხბურთის ფედერაციის ახალი შემადგენლობა იმედს გვისახავს, რომ იგი არაფერს დაიშურებს და ეფექტურად წარმართავს თავის საქმიანობას ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ. სურვილი გვაქვს ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ ამ საშვილიშვილო საქმეში და მიგვაჩნია, რომ სპორტის აკადემიისა და ფეხბურთის ფედერაციის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ამ მიზნის მიღწევის გზაზე.

ქართული ფეხბურთის ავ-კარგზე დღეს ბევრი იწერება. პრესაში გამოქვეყნებულ წერილთა ავტორები სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან. ყველა მათგანს აღელვებს ქართული ფეხბურთის ბედი. კრიტიკულად აფასებს აწმყოს და იმედით შეჰყურებს მომავალს. ამ ვითარებაში, როცა საქმე ეხება ქართული ფეხბურთის მომავალს, **კრიზისიდან თავის დაღწევის გზების ძიებას, გადამწყვეტი თუ არა, ანგარიშგასაწევი მაინც უნდა იყოს ამ საქმის სპეციალისტთა სიტყვა.** სამწუხაროდ, მათი დიდი უმრავლესობა მხოლოდ კერძო საუბრებში გამოთქვამს თავის დამოკიდებულებას პრობლემებთან დაკავშირებით.

ჩვენი ფეხბურთის ისტორიისათვის ამ საპასუხისმგებლო მომენტში საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ფეხბურთის კათედრაც, თავის შესაძლებლობის ფარგლებში, ცდილობს დააჩქაროს და ხელი შეუწყოს ქართული ფეხბურთის შემდგომი განვითარების აუცილებელი ამოცანების ეფექტურად გადაჭრას.

საიდუმლო აღარაა ის ფაქტი, რომ თანდათან თმობს პოზიციებს ე.წ. „ქუჩის ფეხბურთი“, რომელიც ადრე პერსპექტიული ფეხბურთელების შერჩევისა და დიდი ფეხბურთისათვის რესურსების მომზადების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება იყო. ახლა, როცა ფეხბურთელთა ოსტატობის მიმართ მოთხოვნები სულ უფრო იზრდება, ზემოაღნიშნული ბუნებრივი შერჩევის შესაძლებლობა მცირდება. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ რესპუბლიკაში პრიორიტეტული სპორტის სახეობების რიცხვიც იზრდება, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო ამძაფრებს კონკურენციას ნიჭიერი ბავშვების გამოვლენაში. საფეხბურთო სკოლების მწვრთნელები იძულებულნი არიან შეამცირონ მეცადინეობის დაწყების ასაკი, რაც ართულებს ამ პროცესს. აუცილებელი ხდება დაწყებითი მომზადების მეთოდიკის განახლება, რაც ადრე ე.წ. „ველური ფეხბურთის“ არსებობის პირობებში საკმაოდ წარმატებით ხორციელდებოდა.

მსოფლიოს წამყვან გუნდებზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად სპეციალისტების მიერ არაერთხელ აღინიშნა, რომ საუკეთესო გუნდების თამაში ხასიათდება არამარტო მაღალი ოსტატობით (ფიზიკური, ტექნიკური, ტაქტიკური მომზადების დონე, რაც თანდათანობით თანაბრდება), არამედ „შეჯიბრების უნარით“, რაც „მძიმე ორთაბრძოლის“ პროცესში ფიზიკური და, რაც მთავარია, ფსიქიკური დაძაბულობის პირობებში საკუთარი შესაძლებლობის სრულად გამოვლენას ნიშნავს. შეჯიბრების უნარში იგულისხმება — თავს მოახვიო მოწინააღმდეგეს შენი ნება, არ შედრკე საკუთარ კარში გაშვებული ბურთის დროს, „არ დათმო“, მაქსიმალური დატვირთვით ითამაშო ბოლო წუთამდე, „გა

იხ. მე-3 გვ.

ბავშვთა ფეხბურთში თავჩენილი ზოგიერთი პრობლემის შესახებ

მეორე გვერდიდან

„იმარჯვო!“ ხშირად სწორედ ასეთი უნარის არქონა განაპირობებს ჩვენი ფეხბურთელების წარუმატებლობას. ყველაფერი ეს და კიდევ მრავალი სხვა, რითაც ხასიათდება ცნება „შეჯიბრების უნარი“ — შეიძლება შეძენილ იქნას მხოლოდ ორმხრივ თამაშებში და კიდევ უფრო მეტად — შეჯიბრებებში მონაწილეობისას. აღნიშნულ წლებში, როცა წინა პლანზე „ქუჩის ფეხბურთი“ იყო, სწორედ ამ თვისებების შეძენასა და განმტკიცებას ეთმობოდა დიდი დრო, რაც დღეს თითქმის უგულებელყოფილია.

ორმხრივი თამაშები, შეჯიბრებები — „ეზო-ეზოზე“, „ქუჩა-ქუჩაზე“, „კლასი-კლასზე“, „უბანი-უბანზე“ და ა.შ. — ეს ის ძირითადი ფორმებია, რომლებმაც თავის დროზე ფეხბურთში სამეცადინოდ უამრავი ბავშვი მიიზიდა და რამაც შემდგომ განაპირობა კიდეც უფროსი თაობის ქართველი ფეხბურთელების მაღალი ოსტატობა.

ალბათ თავის დროზე უნდა გაგვეთვალისწინებინა შექმნილი მდგომარეობა, რაც „ქუჩის ფეხბურთის“ მიერ პოზიციების დათმობამ გამოიწვია და დაწყებითი მომზადების სასწავლო პროგრამებში გარკვეული კორექტივები შეეტანათ „შეჯიბრების უნარის“ თვისებების შეძენა-სრულყოფისათვის. სამწუხაროდ, დღემდე ეს არ განხორციელებულა.

ასევე გვინდა შევეხოთ ერთ მტკივნეულ საკითხს. ცნობილია, რომ ყოველი საქმის წარმატება პირველ რიგში დამოკიდებულია კადრებზე, იმ ადამიანებზე, ვინც უშუალოდ მონაწილეობენ ამ პროცესებში.

როცა საქმე ფეხბურთს ეხება, ეს ნიშნავს, რომ მისი განვითარება დიდად არის დამოკიდებული პროფესიონალიზმზე და კომპეტენტურობაზე. ვინც კი მეტნაკლებად მონაწილეობს საფეხბურთო ცხოვრებაში, ეს კარგად იცის. ფეხბურთის სკოლები თუ ცალკეული გუნდები, როგორც წესი, იმ შემთხვევაში აღწევენ მაღალ შედეგებს, როცა მათ მომზადებას მაღალკვალიფიციური მწვრთნელი ხელმძღვანელობს. მათ შორის საუკეთესოებისათვის დამახასიათებელია ფანატიკური გატაცება საყვარელი საქმისადმი, უსაზღვრო ერთგულება, ღრმა პროფესიონალური ცოდნა, მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება, ახლის ძიება, შეცდომებზე სწავლის უნარი, საკუთარი და კოლეგების გამოცდილების განზოგადოება, ფეხბურთელებთან „ურთიერთობის“ მოგვარება და ა.შ.

როგორც ქართული ფეხბურთი, ასევე სხვა ბევრი სფერო არ არის უზრუნველყოფილი ელემენტარული პირობებით, მწვრთნელისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი ხდება ისეთი თვისებები, როგორიცაა: დამოუკიდებლობა, მიზნისადმი სწრაფვა, მოხერხებულობა, რაციონალობა, პრაქტიციზმი — კარგი გაგებით და სხვა. ყველაფერი ამის სწავლა შეიძლება არა მარტო სპეციალურ სასწავლო დაწესებულებაში, არამედ მაღალი კლასის გუნდებში, სხვა სპეციალისტების გამოცდილების გაზიარებით და, რაც მთავარია, პროფესიული სრულყოფისაკენ შეუნელებელი სწრაფვით. დღევანდელი ფეხბურთი მოითხოვს მუდმივად ახლის ძიებას, რომლის შედეგიც დამოკიდებულია თანამედროვე ფეხბურთის მოთხოვნების შესაბამისი ახალი, უფრო ეფექტური საშუალებების და მეთოდების პრაქტიკაში დანერგვაზე. ვინ იცის, დღეს ჩვენს გუნდებს ასე რომ უჭირთ, იქნებ სწორედ იმის ბრალია, რომ რესპუბლიკის მწვრთნელთა კორპუსს მხედველობიდან გამორჩა თანამედროვე ფეხბურთის განვითარების ტენდენციები, ნათლად ვერ წარმოიდგინა ფეხბურთის არცთუ შორეული მომავალი და, რაც მთავარია, ვერ მიაგნო ფეხბურთელებისა და გუნდების მომზადების ეფექტურ საშუალებებსა და მეთოდებს.

ჩვენი გუნდების თამაშის ხარისხის არასტაბილურობა და დაბალი შედეგიანობა ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ ჩემპიონატის მსვლელობაში მას ბევრი რამის შეცვლა და მეტიც, ბევრის თავიდან შესწავლა უხდებოდა. ეს პროცესი ყოველთვის რთულია, მოითხოვს დიდ დროს, ფიზიკური და ფსიქიკური ძალების მაქსიმალურ მობილიზებას, დრო კი არ ითმენს! უნდა ვიჩქაროთ იმისათვის, რომ ქართული ფეხბურთი, რაც შეიძლება სწრაფად ავიყვანოთ თანამედროვე მოთხოვნების დონეზე. ეს იქნება მომავალში წარმატებათა გარანტიის საფუძველი. პრაქტიკაში ამ სურვილის რეალიზაცია მწვრთნელებზეა დამოკიდებული. მათი მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის დიდი მუშაობის გაწევაა საჭირო. გაუგებარია, რატომ არ ვიყენებდით მწვრთნელების მომზადების ისეთ ეფექტურ ფორმებს, როგორიცაა სტაჟირება უცხოეთის საკლუბო გუნდებში.

ჩვენი აზრით, ჭაბუკ ფეხბურთელებთან მომუშავე მწვრთნელებს არ აქვთ ნათელი წარმოდგენა იმ რთული, მზარდი მოთხოვნების შესახებ, რომელთა პრაქტიკული გადაჭრა აუცილებელია თანამედროვე, მაღალი კლასის ფეხბურთელის მოსამზადებლად. ამ საპატიო მისიის განხორციელებისათვის საჭიროა რამდენიმე მომენტის ერთიანობა: ნიჭიერი მოსწავლე სასწავლო-საწვრთნო პროცესისათვის აუცილებელი პირობები, მწვრთნელის პროფესიული მომზადების დონე და უნარი მიიყვანოს აღსაზრდელი დასახულ მიზნამდე.

როგორც ვხედავთ, საბოლოოდ ყველაფერი დამოკიდებულია მწვრთნელის კომპეტენტურობაზე და დღეს მათი მოღვაწეობის დაბალი ეფექტი შეიძლება აიხსნას შემდეგი გარემოებით: მწვრთნელს არ ესმის თანამედროვე ფეხბურთი და ვერ ხედავს მისი განვითარების ტენდენციებს; მას არ შეუძლია განსაზღვროს მოსწავლის ტალანტი; ვერ ახერხებს ოპტიმალური სასწავლო-საწვრთნო და აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციას; დაბალია მისი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული მომზადების დონე და ა.შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ჩატარდეს მწვრთნელთა ატესტაცია და ერთხელ და სამუდამოდ გავარკვიოთ ვინ მუშაობს ბავშვთა ფეხბურთში.

თენგიზ რატიანი,
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ფეხბურთის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

თამაზ ჯაში,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, აკადემიის იმავე კათედრის მასწავლებელი.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია აცხადებს კონკურსს



2004 წლის 21 დეკემბრის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის მოთხოვნის განსახორციელებლად, 2005 წლის 8 ივნისის საქართველოს პრეზიდენტის №473 ბრძანებულების მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დამტკიცდა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობაზე გადაყვანის შემდეგი წესი და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება უნდა მოხდეს კონკურსის საფუძველზე. კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია პირადი მონაცემების წარმოდგენა (აკადემიის ცენტრალური ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული ფორმულარის შეფასება). პირი, რომელიც მიიღებს მონაწილეობას კონკურსში და არ დაიკავებს აკადემიურ თანამდებობას, შესაძლებელია მოწვეულ იქნეს ლექციების წასაკითხად საათობრივი ანაზღაურებით.

2. სპორტის აკადემიის აკადემიური თანამდებობის პირს ეკრძალება აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში და უფლება აქვს კითხულობდეს ლექციებს მხოლოდ აკადემიიდან მიწვეული აკადემიური თანამდებობის პირის სტატუსით.

3. პირადი მონაცემებისა და პროგრამული კონკურსის საფუძველზე არჩეული იქნება:

— 24 პროფესორი (მათ შორის მედიკო-ბიოლოგიური მიმართულებით — 6, ჰუმანიტარულ-სოციოლოგიური მიმართულებით — 6, სპორტულ-პედაგოგიური მიმართულებით — 10, იურიდიული მიმართულებით — 2);

— 34 ასოცირებული პროფესორი (მათ შორის მედიკო-ბიოლოგიური მიმართულებით — 10, ჰუმანიტარულ-სოციოლოგიური მიმართულებით — 10, სპორტულ-პედაგოგიური მიმართულებით — 10, იურიდიული მიმართულებით — 4);

— 36 ასისტენტ-პროფესორი (მათ შორის მედიკო-ბიოლოგიური — 6, ჰუმანიტარულ-სოციოლოგიური მიმართულებით — 4, სპორტულ-პედაგოგიური მიმართულებით — 22, იურიდიული მიმართულებით — 4).

4. პროფესორი ვალდებულია კითხულობდეს — 6, ასოცირებული პროფესორი — 8 და ასისტენტ-პროფესორი — 12 საათს კვირაში.

5. პროფესორი და ასოცირებული პროფესორი აირჩევა 3 წლის ვადით, ასისტენტ-პროფესორი — 2 წლის ვადით.

6. პროფესორის ანაზღაურება განისაზღვროს 500 ლარი, ასოცირებული პროფესორის — 400 ლარი (პროფესორის ხელფასის 80 პროცენტი), ასისტენტ-პროფესორის — 300 ლარი (პროფესორის ხელფასის 60 პროცენტი), უფროსი მასწავლებლის — 200 ლარი, მასწავლებლის — 150 ლარი, მოწვეული სპეციალისტის საათობრივი ანაზღაურება იქნება საათში 5-10 ლარი აკადემიური ხარისხის და სტაჟის მიხედვით.

7. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, ან მასთან გათანაბრებული მეცნიერებათა კანდიდატი (საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 89, პ. 9 შესაბამისად), ხოლო სასპორტო სპეციალობების კათედრებზე, ამასთან ერთად, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ან საქართველოს დამსახურებული მუშაკის წოდების მქონე პირი, რომელსაც აქვს შესაბამისად სამეცნიერო, პედაგოგიური ან სამწვრთნელო მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.

8. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი და მათთან გათანაბრებული საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკისა და სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდების პირი.

9. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი და მათთან გათანაბრებული საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკისა და სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდების პირები, ასევე დოქტორანტები.

10. პირადი მონაცემების შეფასებისას მხედველობაში მიიღება პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც დამტკიცებულია რეფორმების კომისიის მიერ. თანამდებობების დაკავების მსურველებმა უნდა მოაგროვონ ქულათა მეტი რაოდენობა.

11. კონკურსი ცხადდება დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. დოკუმენტაციის წარდგენის ბოლო ვადაა 25 სექტემბერი, კონკურსის შედეგები ცნობილი იქნება 6 ოქტომბერს.

„ლელოს“ 69-ე ნომერში გამოქვეყნებული საკონკურსო პირობები ჩაითვალოს ძალადაკარგულად.

განცხადებები მიიღება კადრების განყოფილებაში. ტელ: 23-09-02.

აკადემიის რექტორატი.

იუმორით დაჯილდოებული ვლადიმერ ბარქაია

პირველი გვერდიდან

ასეთმა განცხადებამ ყველანი ცუდ ხასიათზე დაგვაყენა. პრესის მუშაკებმა ყურები ჩამოვყარეთ. უნდა რაღაც გამოსავალი გამოგვენახა, მერხებზე ჩამოვსხედით და ყაყანი დავიწყეთ. უცებ, ჩვენდა გასახარად, პანსიონატ „სპორტის“ ჭიშკარი გაიღო და საწვრთნელი ბაზის ეზოში შავი „ვოლგა“ შემოსრიალდა. იქიდან, საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე, **გიორგი სიხარულიძე** გადმოვიდა. ბატონი გიორგი ზრდილობიანად მოგვესალმა და გვკითხა: რატომ ჩამოგიყრიათო ყურები?

— გიორგი ვასილევიჩ, ძვირფასო, — დაიწყო ნოდარ გიორგობიანმა, — ამ ეზოში იაკუშინთან ინტერვიუს ასაღებად თბილისის ათზე მეტი მწერალი, სპორტული ჟურნალისტი და ფოტორეპორტიორია ჩამოსული. ჩვენს რეპორტაჟებს ელის ასი ათასობით ფეხბურთის მოყვარული და მკითხველი. ხარჯი გაგვიწევია, 600 კილომეტრი გამოგვივლია, მატარებელში „ბაკავოი კოიკაზე“ წოლით ზურგზე ტყავი გადამძვრა და მიხაილ იოსებოვიჩი, მაგისი შუბაც დავხიე, გვეუბნება: Ребятя дорогие вы в мае приходите-ო,. აბა, ეს ნამუსია? სულმნათმა სიხარულიძემ მოგვისმინა და გვითხრა:

— არსად წახვიდეთ, ახლავე ზევით ავალ და ყველაფერს გავარკვევო.

— აჰა, ჟურნალისტებო, ღიმილით მოგვმართა იქვე მერხზე მჯდომმა **ვლადიმერ ბარქაიამ**, ახლა გიორგი ვასილიჩი, მიხეის შეახურებს და იაკუშინიც ინტერვიუზეც თანახმა გახდება. 20 წუთის შემდეგ პანსიონატის კიბეზე მიხეილ იაკუშინი და სიხარულიძე გამოჩნდნენ. ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ ჩვენს გასაგონად უთხრა ჯიუტ მწვრთნელს, რომ გასაუბრებოდა სპორტულ ჟურნალისტებს, რაზედაც იაკუშინი დაეთანხმა სტუმარს. როცა გიორგი სიხარულიძის „ვოლგამ“ პანსიონატი დატოვა, ჟურნალისტებმა მეორე იერიში მივიტანეთ იაკუშინზე. ახმახი მწვრთნელი ცივად შემოტრიალდა და ისევ ცინიკურად შემოგვძახა. — Я вам журналисты уже сказал - вы в мае приходите — საშველი აღარაა, ბიჭებო, — თქვა ნოდარ გიორგობიანმა, ამ კაცს თავისი თავი ტალეირანი ჰგონია, უჰ, მე მაგის აქ ჩამომყვანის დედა ვატირე. ჩაიშალა სიომა შენი ვარაუდი, მიმართე იქვე მერხზე მჯდომ დინამოელთა მარჯვენა შუამარბს.

— არ მეგონა თუ ასეთი უხასიათო იყო იოსებოვიჩი, თავი გააქნია **ჯემალ ზეინკლიშვილმა**. აბა, კაცო, მხარი დაუჭირა მას **მიხეილ მესხმა**. ყველანი დაბოღმილები ვისხედით პანსიონატის გრძელ მერხზე. მოულოდნელად ჩვენს ჯგუფს მოსკოვის „სპარტაკის“ ყოფილი მეკარე გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ სპეციალური კორესპონდენტი, სპორტის ოსტატი **ალექსეი ლეონტიევი** მოუახლოვდა. მხარზე ფოტოაპარატი ეკიდა და ბარბაცით მოდიოდა.

— გამარჯობათ, კოლეგებო, მოგვესალმა მოსკოველი ჟურნალისტი. სტუმარს არყის სუნი ასდიოდა.

— სად არის აქ ტელეფონი, იკითხა ლეონტიევმა, ადლერში ვიყავი საკონტროლო მატჩზე, მოსკოვში რეპორტაჟი უნდა გადავცე.

— სიომა, — მიმართა ბარქაიას ერთმა ჩვენმა ჟურნალისტმა (რუსულ ენაზე) — ეს კაცი ის კორესპონდენტია, რომელმაც შენზე დაწერა „სოვეტსკი სპორტში“. რომ თითქოს შენ ხელს არ უწყობ „დინამოს“ შეტევების გაშლას, **მელაშვილი** — Играет из рук вон плохо! იმ დროს შენ არცკი თამაშობდი, ტყუილად ბრალი დაგდო.

— ლიოხა, მიმართა ბარქაიამ მოსკოველ მეკარეს, რატომ იკადრე ტყუილები, არა გრცხვენია?

— იცი რა, ვალოდია, დაიწყო თავის მართლება ნირწამხდარმა ჟურნალისტმა; მაგრამ ბარქაიამ აღარ დააცადა და სავსებით სერიოზული ტონით უპასუხა:

— Во первых меня зовут Сема а Володя там у вас лежит в мавзолее!

ხეივანში ისეთი ხარხარი ატყდა, რომ ზეინკალა სკამიდან გადავარდა. მოსწრებულმა პასუხმა ყველა გაგვამხიარულა. უცებ კიბეზე იაკუშინი გამოჩნდა და არყისაგან გაბრუებული მოსკოველი ჟურნალისტი თავის მოსასვენებელ ოთახში წაიყვანა.

როცა უშუალოდ ვლადიმერ ბარქაიას იუმორზე ვსაუბრობ, მაგონდება ერთი ამბავიც: ერთხელ თბილისის „დინამო“ საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩის ჩასატარებლად კიევში მიემგზავრებოდა. ვლადიმერის გვერდით ერთი საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელი იჯდა (შემდგომში საბჭოთა კავშირის ნაკრების დაცვის ბურჯი), მიამბობდა სიომაზე, 1990 წლების დასაწყისში (სწორედ ამ წელს გამომცემლობა „საქართველომ“ 20000 ტირაჟით გამოსცა ჩემი წიგნი ვლადიმერ ბარქაიაზე სათაურით — „ფეხბურთის სტრატეგი“), ფეხბურთზე ფანატიკურად შეყვარებული, ჩემი პირველკოლელი თანაკლასელი ცხონებული **გურამ ქავთარაძე**. დინამოელთა მცველმა ჟურნალის კითხვას თავი მიანება და ბარქაიას მიუბრუნდა:

— ბიჭო, სიომა, ვიცი, რომ ტუ — 104-ის ავტორი კონსტრუქტორი ტუპოლევია, იაკის შემქმნელი — იაკოვლევი. ერთი რამ ვერ გამიგია, ეს თვითმფრინავი, რომელსაც ან-ი ეწოდება, რაღას ნიშნავს?

— რას ნიშნავს, ჩემო ძმაო და იმას, რომ ან ჩავალთ კიევში და ან კიდევ არა!

თვითმფრინავის სალონში ხარხარი ატყდა.

ვლადიმერ ბარქაიას მაღალტექნიკური და ჯენტლმენური თამაში, გაოგნებულს ტოვებდა მის პერსონალურ მეურვეებს. დინამოელთა მარჯვენა შუამარბს ბევრიც ხვდებოდა. ძალიან ხშირად იგი ითმენდა ტკივილს, ხოლო ხანდახან თავისი სარკაზმული იუმორით ანადგურებდა თავზეხელაღებულ მცველებს, რომლებიც შეგნებულად ტრავმას აყენებდნენ მას. მაგონდება ჩვენი კიევის „დინამოსთან“ მატჩი, რომლის პირადი მხილველი თვითონ გახლდით. ვლადიმერ ბარქაია რატომღაც თვალში ამოიღო კიეველთა საკმაოდ პოპულარულმა ნახევარმცველმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა **იური ვოინოვმა**. ეს გვარი საკმაოდ კარგად იყო ცნობილი არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. თავად განსაჯეთ, იური ვოინოვი ევროპის სიმბოლურ ნაკრებშიც კი შეიყვანეს...

თბილისელთა ერთ-ერთი შეტევა კვლავ ბარქაიამ წამოიწყო. იგი ისევ დაუსხლტა თავის აღიარებულ მეურვეს და კიეველთა საჯარიმოს უახლოვდებოდა. მდგომარეობის განმუხტვის მიზნით, ვოინოვმა აკრძალული ილეთი იხმარა — ბარქაია მიწაზე აღმოჩნდა. მსაჯმა საჯარიმო დარტყმა დანიშნა, ბარქაია წამოდგა და მეტოქისათვის ხმა არ გაუცია. რას იზამ, ფეხბურთი ბალეტი როდია? იგი ჭეშმარიტი მამაკაცების ნამდვილი თამაშია და აქ შეცდომებისაგან არავინაა დაზღვეული. რამდენიმე წუთის შემდეგ სიომას ისევ ვოინოვი გადაეღობა. თბილისელმა ამჯერადაც შეძლო გვერდი აევლო მისთვის, მაგრამ ევროპის ნაკრების წევრმა ისევ სარმა გამოიყენა. ვლადიმერმა ვეღარ მოითმინა და თავის მეურვეს სრულიად სერიოზულად შეეკითხა:

— შენ ვინა ხარ, ძამიკო? რა გვარი ხარ? რომელ გუნდში თამაშობდი ადრე?

კიეველმა ალღო ვერ აუღო ბარქაიას ცინიკური შეკითხვების აზრს და გაოგნებული შესცქეროდა თბილისელ თავდამსხმელს. შეხვედრის მსაჯმა გაიფიქრა აქ რაღაც ინციდენტი მწიფდებაო და მაშინვე მათთან გაჩნდა. სიომა ახლა მსაჯს მიუბრუნდა და იგივე შეკითხვები დაუსვა.

— როგორ თუ ვინ არის, ვოინოვია, — ძლივს ამოღო ხმა დაბნეულმა და განცვიფრებულმა შავოსანმა.

— ეგ გვარი რაღაც არ გამიგონია, კი მაგრამ, ის მაინც მითხარით, — განაგრძობდა სრულიად სერიოზული ტონით ცბიერი ბარქაია, — შარშან რომელ გუნდში თამაშობდა? განცვიფრებული და დაბნეული ვოინოვი საკუთარ თვალებს არ უჯერებდა. ის კალენდარული შეხვედრა ძლივს მიიყვანა ბოლომდე.

შალვა ქირია,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.



საქართველოს
პროფესიული
ფეხბურთის
ლიგა

Coca-Cola
გენერალური სპონსორი

საქართველოს
XVII ეროვნული
ჩემპიონატი
ფეხბურთში

სკანდალით შეფერილი ტური

ეროვნული ჩემპიონატის მეხუთე ტური პარასკევს, კარგი მატჩით და სკანდალური განცხადებით დაიწყო.

„ჩვენ არ ვიყიდებით, ჩვენს ფეხბურთელს ბოლნისელმა ფეხბურთელმა დაურეკა და თამაშის დათმობა და ფული შესთავაზა". ასეთი კატეგორიული განცხადება გააკეთა სოხუმის „დინამოსა" და ბოლნისის „სიონის" მატჩის წინ, სოხუმელთა თავკაცმა **გოჩა ჟორჟოლიანმა.** როგორი გაგრძელება და როგორი რეაქცია ექნებათ სფფ-ს მესვეურებს მწვრთნელის გამონათქვამზე, დრო გვიჩვენებს. მანამდე, კი **დვალისა** და **მიკუჩაძის** გოლებით „სიონმა" მორიგი გამარჯვება მოიპოვა და პირველობას, ისევ ერთპიროვნულად ლიდერობს. სიმწვავით, ორმხრივი იერიშებით და დაძაბულობით გამორჩეულ მატჩში, სოხუმელებმა მეტოქის ორ გოლს, მხოლოდ, **ჩომახიძის** ზუსტი დარტყმით უპასუხეს, რაც, თუნდაც, ქულის მოპოვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

შაბათის ხუთივე მატჩი ერთნაირი ანგარიშით და უსენსაციოდ დასრულდა. ბათუმელები პრინციპულ მატჩში შინ, რკინიგზელებთან დამარცხდნენ და მეტოქე წინაც გაუშვეს, „ლოკომოტივი" მესამე ადგილზე მოკალათდა. ასევე, გასვლითი მატჩი მოიგო „ამერმა" გორში.

შინაური მატჩები მოიგეს კოლხებმა, კახელებმა და თბილისის დინამოელებმა. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულებმა ქულების მოსაპოვებლად თითო გოლი იკმარეს. საკუთარი აშკარა უპირატესობის უპრობლემოდ დამტკიცება, გიორგი ქორიძის ოთხი გოლით, მხოლოდ ბორჯომელებმა შეძლეს კვირის მატჩში თბილისელებთან. „ბორჯომი" მეორე ადგილზეა. „ლოკომოტივი" კი ლიდერთან ერთად წაუგებლად ასპარეზობს. გამოიკვეთა აუტსაიდერთა სამეულიც, რომელთა პერსპექტივები საკმაოდ ბუნდოვანია. ლიდერობისთვის კი, როგორც ჩანს, რამდენიმე გუნდი იბრძოლებს და საინტერესო მატჩები ჩემპიონატში კიდევ იქნება.

საყურადღებო ვითარებაა პირველ ლიგაში. მეოთხე ტურის შემდეგ გათამაშებას „ამერის", თბილისის „დინამოსა" და „ლოკომოტივის" ფარმ-კლუბები ლიდერობენ. აშკარა აუტსაიდერი კი აქ ორია. ჭიათურელები და ზესტაფონელთა მეორე გუნდი.

ორივე ლიგაში ერთი მატჩი გადაიდო. ჭაბუკთა ნაკრებში ზესტაფონელი ფეხბურთელები ესტონეთში ითამაშებენ. ამის გამო, გადაიდო „ზესტაფონი" — „ვიტ ჯორჯიას" მატჩი, რომელიც მოგვიანებით გაიმართება. პირველ ლიგაში კიდევ, რამდენიმე მატჩია ჩასატარებელი, ამიტომ, ჯერჯერობით გათამაშების ცხრილები არასრულია.

ცხადაძე ნაკრებიდან დაბრუნებულებს ვეღარ ცნობს...

„ცხინვალთან" მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე „დინამოს" თავკაცმა **კახა ცხადაძემ** ხაზი გაუსვა შემდეგ ფაქტს: „ნაკრებებიდან დაბრუნებული ფეხბურთელები ძალიან ცუდ სათამაშო ფორმაში იმყოფებიან და ჯერაც ვერ გამიგია რისი ბრალიაო".

წინა ორ ტურში „დინამომ" ქულები გაანიავა და ახლა ჰაერივით სჭირდებოდა გამარჯვება. დასახული ამოცანა შესრულდა, ოღონდ დიდი გაჭირვებით. გაჭირვებით იმიტომ, რომ მეტოქე იყო ძალიან სუსტი.

პირველი ხიფათი სტუმრების კართან 22-ე წუთზე შეიქმნა. **ალადაშვილმა იაშვილს** კარგად მიაწოდა, მის უკან კი თანაგუნდელი იმყოფებოდა და „ეშმაკურად" ფეხებშუა გაატარა ბურთი, რითაც ჭელიძე მეკარესთან პირისპირ დატოვა. თუმცა, გოლკიპერმა დამაჯერებლად ითამაშა. რამდენიმე წუთში კი მასპინძლების მიერ კუთხურიდან გათამაშებული კომბინაცია, იაშვილმა თავურით დაასრულა, მაგრამ ბურთი მცირე მანძილით აცდა კარს. ტაიმის დამთავრებამდე 7-8 წუთი რჩებოდა, როცა **ბაბუნაშვილმა** ერთი-ერთზე დატოვა იაშვილი, მაგრამ მეკარემ დაასწრო.

მეორე ტაიმის 52-ე წუთწე კვლავ იაშვილი იგებს სტუმრების საჯარიმოში საჰაერო დუელს, თუმცა მისი თავით დარტყმული სანტიმეტრებით ცდა კარს. „დინამოს" მწვრთნელმა ტაქტიკა შეცვალა — **იაშვილ-მეგრელაძეს,** მესამე თავდამსხმელი — **ბობოხიძე** შემატა და შედეგიც უმალ მიიღო. 68-ე წუთზე ალადაშვილმა მარჯვენა ფლანგზე კარგად ითამაშა, ჩააწოდა მეგრელაძეს, რომელმაც ვარდნაში ძალიან ლამაზი ბურთი გაიტანა. ბობოხიძე — ბაბუნაშვილი — მეგრელაძის ახალი კომბინაცია კი ამ უკანასკნელის დარტყმით დასრულდა და მეკარის სასწაულებრივ მოგერიებული ბურთი შემდეგ ძელმაც აისხლიტა. ასე რომ, მეგრელაძის გოლი ერთადერთი აღმოჩნდა და კლუბს ესოდენ საჭირო სამი ქულა მოუტანა.

ი. თაყაძე („ცხინვალი"): „დაძაბული თამაში იყო და ძლიერმა გაიმარჯვა, „დინამო" მაინც „დინამოა".

კ. ცხადაძე („დინამო"): „თამაში საკმაოდ დაძაბული იყო და იმ ერთმა გოლმა გადაწყვიტა ყველაფერი. მეტოქე ძალიან კარგად იცავდა საკუთარ თავს. ჩვენ ეს გამარჯვება ფსიქოლოგიურად ძალიან გვჭირდებოდა. ახალი დაწყებულია სეზონი და უკვე ძალიან ბევრი დანაკარგი გვაქვს, ფაქტობრივად, თავიდან გვაქვს ყველაფერი ასაწყობი."

კახა მგელაძე.

უმაღლესი ლიგა. V ტურის სტატისტიკა

თბილისი. 9 სექტემბერი. სტადიონი „შევარდენი". 2000 მაყურებელი

დინამო (სოხ) – სიონი 1-2

დინამო: ა. ლაბაძე, თ. უგრეხელიძე, მ. წერეთელი, ზ. ჯელაძე, გ. ჩხაიძე, ჟვანია, ლ. სილაგაძე, ჩომახიძე, ეგაძე (გაგუა 82), გადელია, რუსია.

სიონი: ბობღიაშვილი, კობაური (ოქროპირიძე 46), სვანიძე, ჩიკვილაძე, რაქიაშვილი (ქარდავა 65), დოლიძე, ხმალაძე, კვიტაიშვილი (ბაჯელიძე 55), ბოლქვაძე, დვალი, მიკუჩაძე.

გოლები: 0-1 დვალი (10), 1-1 ჩომახიძე (57), 1-2 მიკუჩაძე (70)

გააფრთხილეს: რაქიაშვილი (40), ჯელაძე (58), გადელია (72), სილაგაძე (80), ქარდავა (80), დვალი (90)

გააძევეს: ჩიკვილაძე (90)

მსაჯი: გ. ვადაჭკორია (თბილისი)

თბილისი. 10 სექტემბერი. ბ. პაიჭაძის სახ. ეროვნული სტადიონი. 1000 მაყურებელი

დინამო (თბ) – ცხინვალი 1-0

დინამო: სტურუა, ალადაშვილი, ქემოკლიძე, ამისულაშვილი, აკობია, ნოზაძე, ბაბუნაშვილი, გრიგალაშვილი (ნავალოვსკი 46), გ. ნუგზარის ძე ჭელიძე (ბობოხიძე 63), გ. მეგრელაძე, ს.იაშვილი (გიგაური 73).

ცხინვალი: სოლოღაშვილი, დ. მაისურაძე, ქობესაშვილი, ლომიძე, ეჯოშვილი, ბ. ჩიტაია, მოსიაშვილი, გამცემლიძე (გ. მაისურაძე 57), ბაკარანძე, დათვაძე, ჩილვინაძე.

გოლი: 1-0 გ. მეგრელაძე (70)

გააფრთხილეს: აკობია (50), მეგრელაძე (62), ბობოხიძე (73), დ. მაისურაძე (84).

მსაჯი: ა. ორდინიძე (ონი).

თელავი. 10 სექტემბერი. გ. ჩოხელის სახელობის სტადიონი.

5000 მაყურებელი.

კახეთი – სპარტაკი 1-0

კახეთი: ძამუნაშვილი, ზ. ლაბაძე, გ. ნადირაშვილი, ტარუღაშვილი, ბედოიძე, კუპრაშვილი, კობაიძე, კუნჭულია (სოსელია 60), ნ. დავითაშვილი (ბ. ბურნაძე 85), დ. ბურდული (კველიშვილი 70), სიხარულიძე.

სპარტაკი: ნაფეტვარიძე, ტაბიძე, ჯანგიძე, ელიზბარაშვილი (მაღლაფერიძე 84), იმნაიშვილი, კოტრიკაძე (დანელია 8.), თ. დემეტრაძე (ჩანტლაძე 60), მალიჩავა, ხუბუა, მალანია, ურუშაძე.

გოლი: 1-0 ბურდული (6).

გააფრთხილეს: დავითაშვილი (30), ჯანგიძე (40), მალანია (40)

მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი)

გორი. 10 სექტემბერი. თ. ბურჯანაძის სახელობის სტადიონი. 300 მაყურებელი.

დილა – ამერი 0-1

დილა: თ. ილურიძე, ქარქუზაშვილი, რევაზიშვილი, გ. ნადირაძე, ი. კობახიძე, შატაკიშვილი, ი. თომაშვილი (ტლაშაძე 56), მ. თაყაძე, პეტრიაშვილი (ალ. ლაბაძე 84), სულთანიშვილი, წუწუნავა (მძინარიშვილი 88).

ამერი: ლ. ნადირაშვილი, კედელაშვილი, გ. კვახაძე, ხვადაგიანი, ბერიანიძე, დობროვოლსკი, ა. კაიდარაშვილი, სილაგავა (დარსანია 40, გ. ჩხეტიანი 70), კოშკაძე (ნიკოლაიშვილი 80), ს. დავითაშვილი, სევასტოპულო.

გოლი: 0-1. დავითაშვილი (34)

გააფრთხილეს: რევაზიშვილი, (20), შატაკიშვილი (62), დავითაშვილი (68), თომაშვილი (75), კობახიძე (86), რევაზიშვილი (90)

გააძევეს: რევაზიშვილი (90).

მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

ბათუმი. 10 სექტემბერი. სტადიონი „დინამო". 300 მაყურებელი.

დინამო (ბთ) – ლოკომოტივი 0-1

დინამო: ი. ბალაძე, ი. მახარაძე (ბესიკ თედორაძე 56), სიდამონიძე, ექონია, გუშარაშვილი, გ. ჯელაძე, გ. მანწკავა, ქაცარავა (ზირაქიშვილი 60), მ. ბურნაძე (ცანავა 65), დარჩიძე, კაკალაძე.

ლოკომოტივი: გ. ჭანტურია, მახვილაძე, გ. ონიანი, საჯაია, სეთურიძე, ინომოვი, რ. ონიანი, დ. ფოფხაძე (რამონი 46), სირაძე, ქებაძე, კახელიშვილი (ა. ნოზაძე 74).

გოლი: 0-1 რ. ონიანი (55)

გააფრთხილეს: ბურნაძე (50), კახელიშვილი (62), ინომოვი (89), გუშარაშვილი (90).

გააძევეს: დარჩიძე (89)

მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი).

ფოთი. 10 სექტემბერი. სტადიონი „ფაზისი". 1500 მაყურებელი

კოლხეთი – ტორპედო 1-0

კოლხეთი: ბარიაშვილი, ქუტიძე, ფარულავა, თურქია (გ. კილასონია 40), ყურაშვილი, ზ. შალამბერიძე (ვართაგავა 64), კრასოვსკი, ცეკვაშვილი (გოჩალეიშვილი 60), მარგალიტაძე, ზ. ჯანაშია, ზ. ქუთათელაძე.

ტორპედო: გიგინეიშვილი, ლალაძე, რატი ბარაბაძე, დ.ხურცილავა (მდივნიშვილი 54), მაღლაკელიძე, ქურციკიძე (კ. შალამბერიძე 77), ტეხოვი, ბურჯანაძე (ებრალიძე 25), ფოფხაძე, ძოძუაშვილი, დოლონაძე.

გოლი: 1-0 ქუთათელაძე (5)

გააფრთხილეს: ტეხოვი (15), ძოძუაშვილი (52), ვართაგავა (80), კრასოვსკი (88).

მსაჯი: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი)

თბილისი. 11 სექტემბერი. სტადიონი „ოლიმპი" 500 მაყურებელი

თბილისი – ბორჯომი 0-5

თბილისი: შეყრილაძე, მიმინოშვილი, ხაჭიპერაძე, ბერიძე, გ. ფოფხაძე, ბოჭოიძე, ი. მოდებაძე, კვასხვაძე (კაკაბაძე 46), ლიპარტია (ვ. კვარაცხელია 46), ბარამიძე, რევაზ ბარაბაძე.

ბორჯომი: მამალაძე, მემარნიშვილი, ლ. ჭელიძე, ა. ბურნაძე, ბაქრაძე, გვირჯიშვილი, გაბისკირია (მიქიაშვილი 78), მესხი, გეწაძე, შ. ჯიქია (აფციაური 70), გ. ქორიძე (რ. ჯიქია 78).

გოლები: 0-1, 0-2, 0-3, 0-4 ქორიძე (14,23,50,60), 0-5 გეწაძე (72)

გააფრთხილეს: მესხი (53)

მსაჯი: ლ. სილაგავა (თბილისი).

ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია (გადაიდო)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
სიონი	5	4	1	0	8-2	13
ბორჯომი	5	4	0	1	11-3	12
ლოკომოტივი	5	3	2	0	7-2	11
დინამო (თბ)	5	3	1	1	6-3	10
ამერი	5	3	1	1	5-4	10
ზესტაფონი	4	3	0	1	4-2	9
კოლხეთი1913	5	3	0	2	3-3	9
ვიტ-ჯორჯია	4	2	1	1	5-4	7
დინამო (ბთ)	5	2	1	2	2-2	7
ცხინვალი	5	2	0	3	4-4	6
დილა	5	2	0	3	4-5	6
კახეთი	5	2	0	3	4-6	6
დინამო (სოხ)	5	1	1	3	5-9	4
სპარტაკი	5	0	1	4	0-4	1
ტორპედო	5	0	1	4	0-5	1
თბილისი	5	0	0	5	1-11	0

პირველი ლიგა. IV ტური

ზუგდიდი — გურია 0-0
მეშახტე — ჩიხურა 0-0
მესხეთი — ამერი2 2-2
ლიახვი — მალაროელი 3-2
საგარეჯო — მერანი 0-0
თბილისი2 — გაგრა 2-1
ზესტაფონი2 — ლოკომოტივი2 0-2
დინამო2 (თბ) — რუსთავი 3-1
მეშაქრე — ვიტ ჯორჯია2 (მცხ) 2-0

ანონსი. დ. ყიფიანის სახ. საქართველოს თასი. მეთექვსმეტედფინალი. საპასუხო მატჩები

ზუგდიდი — ზესტაფონი (13.IX) (0-3)
მესხეთი — დილა (13.IX) (3-3)
მეშაქრე — ამერი (20.IX) (2-1)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
ამერი2	4	3	1	0	6-2	10
დინამო2 (თბ)	4	3	0	1	13-3	9
ლოკომოტივი2	4	3	0	1	4-1	9
მერანი	4	2	2	0	5-2	8
მესხეთი	3	2	1	0	5-3	7
საგარეჯო	4	2	1	1	4-3	7
რუსთავი	4	2	1	1	5-5	7
მეშახტე	4	1	2	1	7-3	5
მეშაქრე	4	1	2	1	3-2	5
ზუგდიდი	4	1	2	1	1-2	5
გურია	4	1	1	2	10-7	4
ჩიხურა	2	1	1	0	5-2	4
ვიტჯორჯ2(მცხ)	4	1	1	2	4-6	4
ლიახვი	4	1	0	3	5-9	3
გაგრა	4	0	3	1	1-3	3
თბილისი2	4	0	1	3	4-12	1
მალაროელი	4	0	1	3	2-11	1
ზესტაფონი2	3	0	0	3	0-8	0

სკანდალის გამოძახილი

სოხუმელთა ხმამაღალ განცხადებას მათი მოსყიდვის შესახებ, ბოლნისელთა მომენტალური და თანაც ნეგატიური რეაქცია მოჰყვა. „ჩვენ, არც ვყიდულობთ, არც ვყიდით, ბევრს არ სიამოვნებს ჩვენი პირველობა და რაღაც პროვოკაციებს გვიწყობს, ჩვენს მონაპოვარში ეჭვს არავის შევატანინებთ". ასეთი მკვეთრი განცხადებები ისმოდა სიონელთა თავკაცებისგან. კვირას გამართულ პრესკონფერენციაზე. კლუბის დირექტორი **გია აბაზაძე** სასამართლოში ჩივილსაც კი აპირებს. — „თუ სოხუმელები სათქმელს ბოლომდე არ იტყვიან, ცილისწამებისთვის სასამართლოში ვიჩივლებთ, ამ საქმეს შუა გზაზე არ მივატოვებთ". გაგრძელება იქნება? მაგრამ როგორი?.. სოხუმის „დინამოს" თავკაცი **გოჩა ჟორჟოლიანიც** ადრე თქმულს იმეორებს და თავის სიმართლეშიც დარწმუნებულია. „ჯერ არ გავგიჟებულვარ, ისიც ვიცი, ვინ ვის დაურეკა და რა შესთავაზა, უბრალოდ, საჯაროდ არაფერს ვიტყვი, საქმის ვითარებას, უშუალოდ „სიონის" პრეზიდენტს გავუმხელ და გავაცნობ." განაცხადა სოხუმელთა მწვრთნელმა.

ალბათ, გაბელია!?

საქართველოს ჩემპიონატის განვლილ ხუთ ტურში ბათუმის „დინამომ" ორი შინაური მატჩი, უშუალო კონკურენტებთან „სიონთან" და „ლოკომოტივთან" წააგო. რკინიგზელებთან ბოლო მარცხს გუნდიდან მთავარი მწვრთნელის **ამირან გოგიტიძის** წასვლა მოჰყვა. ბათუმელთა ყოფილი თავკაცი საკუთარი ნებით წავიდა. „გუნდს სათანადო, წარმატებული შედეგები არ ჰქონდა და წასვლა ვარჩიე" განაცხადა გოგიტიძემ. უმწვრთნელოდ ზღვისპირელები დიდხანს არ იქნებიან. რამდენიმე დღეში გუნდს, ალბათ, **ოთარ გაბელიას** ჩააბარებენ.

რეგიონალური ლიგა

აღმოსავლეთი. III ტური

დურუჯი — ერთობა 1-1
დიღომი — სამგორი 4-2
ამერი3 — ალგეთი 9-0
ხალიბი — ცხუმი 2-1
ალაზანი — კახეთი2 0-0
ნ. დინამო — ამირანი 1-0
გარეჯი — მაუდი 1-0

IV ტური

მაუდი — დურუჯი 4-1
კახეთი2 — დიღომი 0-1
ოჩამჩირე — ცხუმი 0-1
ერთობა — ალაზანი 0-2
სამგორი — ნ. დინამო 0-0
ამირანი — ამერი3 0-3
ალგეთი — ხალიბი 0-1

გადატანილი მატჩები

ნ. დინამო2 — გარეჯი 1-0
ნ დინამო2 — ერთობა 2-0

ცენტრალური. IV ტური. ანონსი

13 სექტემბერი

პეტროვიჩი — ივერია
თბილისი — 35-ე სკ.
ჩიხურა2 — გორი
ბორჯომი2 — ზოოვეტი

14 სექტემბერი

ამირანი — აკადემია

აღმოსავლეთი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
დიღომი	4	4	0	0	15-2	12
ამერი3	4	4	0	0	18-0	12
ნ. დინამო	3	3	0	0	10-2	9
ხალიბი	4	3	0	1	7-3	9
სამგორი	4	2	1	1	11-6	7
ალაზანი	4	2	1	1	5-1	7
ნ. დინამო2	3	2	1	0	3-0	7
მაუდი	3	2	0	1	6-3	6
კახეთი2	4	1	2	1	4-2	5
გარეჯი	4	1	2	1	2-2	5
ცხუმი	4	1	0	3	3-11	3
ერთობა	4	0	2	2	2-6	2
დურუჯი	4	0	1	3	5-17	1
ოჩამჩირე	3	0	0	3	2-7	0
ამირანი (თბ)	4	0	0	4	0-12	0
ალგეთი	4	0	0	4	1-20	0

ცენტრალური

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
აკადემია	3	3	0	0	7-2	9
ჩიხურა2	3	2	0	1	11-3	6
ბორჯომი2	2	2	0	0	5-1	6
ზოოვეტი	3	2	0	1	6-3	6
35-ე სკოლა	3	2	0	1	5-4	6
გორი	3	1	1	1	5-4	4
თბილისი	3	1	0	2	5-8	3
ივერია	3	0	1	2	3-5	1
ამირანი	2	0	0	2	2-4	0
პეტროვ (ჭაბ)	3	0	0	3	1-14	0

მაროკოსა და გერმანიაში

სანაკრებო მატჩების დამთავრების შემდეგ ქართული ფეხბურთის ჩინოსანთა დელეგაცია მაროკოს დედაქალაქ რაბატში გაემგზავრა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და გენერალური მდივანი გრიგოლ ცაავა ფიფას კონგრესში მონაწილეობენ. მაროკოდან გენმდივანი თბილისში დაბრუნდება. პრეზიდენტი კი გერმანიაში ჩავა და ფირმა „პუმასთან" და „ადიდასთან" ორგანიზაციულ საკითხებზე მოილაპარაკებს. ნოდარ ახალკაცი შინ, 20 სექტემბერს დაბრუნდება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა ეროვნული კატეგორიის მსაჯი

იოსებ (სოსო) აფციაური

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა და ინსპექტორთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ეროვნული კატეგორიის მსაჯი

იოსებ (სოსო) აფციაური

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

„რეალის“ პირველი მარცხი და შოთა არველაძის შოუ

გასულ შაბათ-კვირას ევროპის ქვეყნების ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი შეხვედრები გაიმართა.

ინგლისის პრემიერლიგის მე-5 ტურში ყველაზე დიდი მოულოდნელობა ლონდონის „არსენალის“ მარცხი იყო.

გასვლით შეხვედრაში „მიდლსბროსთან“ — 1-2, თამაში სტუმართა შეტევებით დაიწყო, თუმცა მასპინძლებმა შუა ტაიმში ხელთ იგდეს ინიციატივა და მე-40 წუთზე აიგბენიმ ანგარიში გახსნა. მეორე ნახევრის დასაწყისში ვენგერის გუნდი შეეცადა წონასწორობა მალე აღედგინა, მაგრამ ბურთი კვლავ საკუთარ კარში მიიღეს — 59-ე წუთზე მაკარონემ გამოიჩინა თავი. დარჩენილ დროში რეიესმა ერთი საპასუხო ბურთის გატანა მოახერხა. ისიც უკანასკნელ წუთზე

„არსენალი“: ლემანი, ე. კოული, სიგანი, ლუარენი, ტურე, ფლამინი (ფაბრეგასი, 60), ა. გლები, პირესი (ვან პერსი, 72), სილვა, ბერხკამპი, რეიესი.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ ფრეს დასჯერდა თანაქალაქელ „მანჩესტერ სიტისთან შეხვედრაში 1-1. ანგარიში პირველი ნახევრის უკანასკნელ წუთზე ვან ნისტელროიმ გახსნა, მეორე ნახევარში კი ბარტონმა გაიტანა საპასუხო ბურთი:

„მანჩესტერ იუნაიტედი“: ვან დერ საარი, ფერდინანდი, ჰაინცე, ოში, სილვესტრი, ფლეტჩერი (კინი, 78) სქოულზი, პარკი (გიგზი, 81), რუნი, სმიტი (რიჩარდსონი, 87), ვან ნისტელროი.

ლონდონის „ჩელსიმ“ კი მეხუთე შეხვედრა მოიგო, ამჯერად 2-0 სძლია „სანდერლენდს“. ბურთები გაიტანეს ქერემიმ და დროგბამ.

„ჩელსი“: ჩეხი, დელ ორნო, გალასი, ტერი, ესიენი, ქერემი, ლემპარდი, რაიტ-ფილიპსი (ჯო კოული, 57), კრესპო (დროგბა, 54), გუდიონსენი (დაფი, 45), რობენი.

ბევრს არ ეგონა, რომ „ჩარლტონი“ 4 ჩატარებული შეხვედრიდან ოთხივეს მოიგებდა. ამ გუნდმა ამჯერად სტუმრად 1-0 დაამარცხა „ბირმინგემი“.

ქართველ გულშემატკივართა ინტერესს იწვევდა „ბოლტონი“ — „ბლექბერნის“ შეხვედრაც, რადგან „ბლექბერნის“ შემადგენლობაში პირველად უნდა გამოჩენილიყო ზურაბ ხიზანიშვილი. მან 90 წუთი ითამაშა, თამაში კი ფრედ 0-0 დასრულდა.

„ბლექბერნი“: ფრიდელი, ხიზანიშვილი, მატეო, მაჯუნა, ნეილი, ნილსენი, ემერტონი, პედერსენი (ბენტლი, 58), რიდი, სევეჯი, იენსენი (კოლი, 58).

სხვა შეხვედრები: „ვესტ ბრომვიჩი“ — „უიგანი“ 1-2, „ტოტენჰემი“ — „ლივერპული“ 0-0, „ნიუკასლი“ — „ფულემი“ 1-1, „ევერტონი“ — „პორტსმუთი“ 0-1.

სატურნირო ცხრილის პირველი ხუთეული:

„ჩელსი“	5	5	0	0	10-0	15
„ჩარლტონი	4	4	0	0	8-1	12
„მანჩ. სიტი“	5	3	2	0	7-4	11
„მანჩ. იუნ.“	4	3	1	0	6-1	10
„ტოტენჰემი“	5	2	2	1	4-2	8

გერმანიის ბუნდესლიგის მეოთხე ტურში ლევან კობიაშვილის „შალკემ“ ფრედ 1-1 დაასრულა შეხვედრა სტუმრად „ლევერკუზენთან“. თავდაპირველად მასპინძლები დაწინაურდნენ 73-ე წუთზე ბერბატოვის მიერ გატანილი ბურთის წყალობით, თუმცა შეხვედრის დასასრულამდე 5 წუთით ადრე ლარსენმა წონასწორობა აღადგინა.

„შალკე“: როსტი, ალთინთოფი, ბორდონი, კრისტაიჩი, ერნსტი (ვარელა, 78), კობიაშვილი, ლინკოლნი, პოულსენი, ასამოა (ბაირამოვიჩი, 46), კურანი, სანდი (ლარსენი, 67).

„ვერდერმა“ სტუმრად 5-1 გაანადგურა „კაიზერსლაუტერნი“. მიუნხენის „ბაიერმა კი 2-1 მოუგო „ნიურნბერგს“.

სხვა შეხვედრები: „ჰერტა“ — „ვოლფსბურგი“ 3-0, „დორტმუნდი“ — „კიოლნი“ 2-1, „მიონხენგლადბახი“ — „დუისბურგი“ 2-1, „მაინცი“ — „ჰამბურგი“ 1-3, „ჰანოვერი“ — „აინტრახტი“ 2-0, „შტუტგარტი“ — „არმინია“ 1-1.

„ბაიერნი“	4	4	0	0	13-3	12
„ვერდერი“	4	3	1	0	13-4	10
„ჰამბურგი“	4	3	1	0	9-2	10
„შალკე“	4	2	2	0	6-4	8
„ჰერტა“	4	2	1	1	7-5	7

ესპანეთის პრიმერადივიზიონში ორი ტურის შემდეგ, ქვედა დივიზიონიდან გადმოსული „სელტა“ და „დეპორტივო“ დაწინაურდნენ. „სელტამ“ ბევრისთვის მოულოდნელად, მეორე ტურში თავად მადრიდის „რეალი“ დაამარცხა! თანაც სტუმრად — 3-2! სტუმრები მე-8 წუთზე დაწინაურდნენ კონტრერასის გატანილი ბურთის წყალობით. 37-ე წუთზე- რონალდომ ჯერ აღადგინა წონასწორობა, ხოლო შემდეგ ბაპტისტამ ერთბურთიანი უპირატესობით გაიყვანა წინ „სამეფო კლუბი“. ეს უპირატესობა მეტად ხანმოკლე — ერთწუთიანი აღმოჩნდა — ნუნიესმა ანგარიში გაათანაბრა. მეორე ნახევარში კანობიომ გამარჯვება მოუტანა „სელტას“.

„რეალი“: კასილიასი, რობერტო კარლოსი, ელგერა, პავონი (სერბიო, 45), სალგადო, ბექჰემი (გარსია, 80) გრავესენი (რაული, 68), ბაპტისტა, რონალდო, გუტი, რობინიო.

„დეპორტივომ“ კაპდევილას ერთადერთი ბურთის წყალობით 1-0 სძლია „ატლეტიკოს“. ქვეყნის ჩემპიონმა „ბარსელონამ“ 2-0 დაამარცხა „მალიორკა“. ბურთები გაიტანა ეტო,ომ.

„ბარსელონა“: ვალდესი, ბელეტი, მარკესი (ვან ბომელი, 67), ოლეგერი, პუიოლი, დეკუ, (ინიესტა, 77), ჟიული ვან ბრონკჰორსტი (ესკერო, 82), ხავი ერნანდესი, ეტო,ო, რონალდინიო.

სხვა შეხვედრები: „ხეტაფე“ — „ბილბაო“ 1-1, „რასინგი“ — „კადისი“ 0-1, „სოსიედადი“ — „ალავესი“ 2-1, „ვილიარეალი“ — „სევილია“ 1-1, „მალაგა“ — „ესპანიოლი“ 1-2, „სარაგოსა“ — „ვალენსია“ 2-2, „ბეტისი“ — „ოსასუნა“ 1-0.

„სელტა“	2	2	0	0	5-2	6
„დეპორტივო“	2	2	0	0	2-0	6
„ბილბაო“	2	1	1	0	4-1	4
„ხეტაფე“	2	1	1	0	3-1	4
„ბარსელონა“	2	1	1	0	2-0	4
„ვალენსია“	2	1	1	0	3-2	4
„სევილია“	2	1	1	0	2-1	4

იტალიის სერია „ა“-ს მეორე ტურში „მილანმა“ საკუთარ მოედანზე 3-1 დაამარცხა „სიენა“. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ამბროზინიმ, შევჩენკომ და კაკამ.

„მილანი“: დიდა, მალდინი, ნესტა, სტამი (კაფუ, 52), ამბროზინი, პირლო, რუი კოშტა (კაკა, 72), ზეედორფი (გატუზო, 66), სერჟინიო, ჯილარდინო, შევჩენკო.

ტურინის „იუვენტუსმა“ ზედიზედ მეორე შეხვედრა მოიგო, ამჯერად სტუმრად „მიწასთან გაასწორა“ „ემპოლი“ — 4-0. ორი ბურთი ტრეზეგემ გაიტანა, თითოჯერ თავი გამოიჩინეს ვიერამ და კამორანეზიმ.

„იუვენტუსი“: აბიატი, ფაბიო, კანავარო, კოვაჩი, პესოტო (ბალცარეტი, 46), კამორანეზი, ემერსონი, ვიეირა, ნედველი, ძამბროტა, იბრაჰიმოვიჩი (მუტუ, 60), ტრეზეგე (სალიეტა“ 70).

სხვა შეხვედრები: „კიევო“ — „პარმა“ 1-0, „ლეჩე“ — „ასკოლი“ — 0-0, „მესინა“ — „ფიორენტინა“ 2-2, „რომა“ — „უდინეზე“ 0-1, „სამპდორია“ — „რეჯინა“ 3-2, „ტრევიზო“ — „ლივორნო“ 0-1, „კალიარი“ — „ლაციო“ 1-1.

„იუვენტუსი“	2	2	0	0	5-0	6
„ლივორნო“	2	2	0	0	3-1	6
„უდინეზე“	2	2	0	0	2-0	6
„მილანი“	2	1	1	0	4-2	4
„ფიორენტ.“	2	1	1	0	4-3	4
„პალერმო“	2	1	1	0	4-3	4
„ლაციო“	2	1	1	0	2-1	4

გაგაცნობთ საფრანგეთის მე-6 ტურის შედეგებს: „ლანსი“ — „ბორდო“ 1-1, „სოშო“ — „მარსელი“ 0-1, „ლიონი“ — „მონაკო“ 2-1, „ტრუა“ — „ნანტი“ 1-0, „ტულუზა“ — „ლე მანი“ 0-2, „რენი“ — „ოსერი“ 3-1, „აიაჩო“ — „ნანსი“ 1-0, „პსჟ“ — „სტრასბური“ 1-0, „ნიცა“ — „სტ. ეტიენი“ 0-1, „მეცი“ — „ლილი“ 0-2.

„ლიონი“	6	5	1	0	9-3	16
„პსჟ“	6	4	1	1	10-4	13
„ლანსი“	6	3	2	1	12-4	11
„ლე მანი“	6	3	2	1	8-2	11
„ბორდო“	6	3	2	1	5-2	11

ჰოლანდიის ჩემპიონატის მორიგ ტურში „ალკმაარმა“ საკუთარ მოედანზე „როზენდალი“ გაანადგურა 7-0. სამი ბურთი შოთა არველაძემ გაიტანა.

სხვა შეხვედრები: „ვალვაიკი“ — „როდა“ 2-0, „ჰეერენვენი“ — „ჰერაკლესი“ 1-2, „პსვ“ — „უტრეხტი“ 1-0, „ტილბურგი“ — „აიაქსი“ 0-2, „ფეიენოორდი“ — „ნეკ“ 3-0 „გრონინგენი“ — „სპარტა“ 0-1, „ბრედა“ — „დენ ჰააგი“ 4-1, „ტვენტე“ — „ვიტესი“ 0-1.

„ალკმაარი“	4	4	0	0	17-1	12
„ფეიენოორ.“	4	4	0	0	10-2	12
„ვალვაიკი“	4	4	0	0	9-3	12
პსვ	4	3	1	0	7-2	10
„ჰერაკლესი“	4	3	1	0	7-4	10

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი იწყება

დღეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა ლიგის გათამაშების ჯგუფური ეტაპი იწყება. დღევანდელი შეხვედრებიდან ქართველი გულშემატკივრები დიდი ინტერესით ელიან პსვ — „შალკესა“ და „მილანი“ — „ფენერბახჩეს“ შეხვედრებს და ეს არც არის გასაკვირი. „მილანის“ ღირსებას კახი კალაძე იცავს, ხოლო გერმანული „შალკეს“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ლევან კობიაშვილია.

მადრიდის „რეალი“ სტუმრად ეთამაშება ფრანგულ „ლიონს“.

ხვალ ბრემენში ტურის ცენტრალური შეხვედრა შედგება — „ვერდერი“ ესპანეთის ჩემპიონს „ბარსელონას“ მასპინძლობს.

გაგაცნობთ ჯგუფების შემადგენლობასა და პირველი ტურის შეხვედრების განრიგს:

A ჯგუფი: „ბრიუგე“ (ბელგია), „იუვენტუსი“ (იტალია), „რაპიდი“ (ავსტრია), „ბაიერნი“ (გერმანია);

B ჯგუფი: „არსენალი“ (ინგლისი), „აიაქსი“ (ჰოლანდია), „სპარტა“ (ჩეხეთი), „თუნი“ (შვეიცარია).

C ჯგუფი: „ბარსელონა“ (ესპანეთი), „ვერდერი“ (გერმანია), „უდინეზე“ (იტალია), „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი).

D ჯგუფი: „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი), „ბენფიკა“ (პორტუგალია), „ვილიარეალი“ (ესპანეთი), „ლილი“ (საფრანგეთი).

E ჯგუფი: „მილანი“ (იტალია), „შალკე“ (გერმანია), პსვ (ჰოლანდია), „ფენერბახჩე“ (თურქეთი),

F ჯგუფი: „რეალი“ (ესპანეთი), „ლიონი“ (საფრანგეთი), „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი), „რუსენბორგი“ (ნორვეგია).

G ჯგუფი: „ჩელსი“ (ინგლისი), „ბეტისი“ (ესპანეთი), „ლივერპული“ (ინგლისი), „ანდერლეხტი“ (ბელგია);

H ჯგუფი: „ინტერი“ (იტალია), „პორტუ“ (პორტუგალია), „არტმედია“ (სლოვაკეთი), „რეინჯერსი“ (შოტლანდია).

გაგაცნობთ შეხვედრათა განრიგს ევროპული ტოტალიზატორის „უილიამ ჰილის“ კოეფიციენტებთან ერთად:

13 სექტემბერი	1	X	2
„არტმედია“ — „ინტერი“	7,00	3,50	1,44
„ჩელსი“ — „ანდერლეხტი“	1,16	5,50	12,00
„ლიონი“ — „რეალი“	2,60	3,10	2,40
„რეინჯერსი“ — „პორტუ“	2,25	3,20	2,75
„ოლიმპიაკოსი“ — „რუსენბორგი“	1,36	3,75	8,00
„მილანი“ — „ფენერბახჩე“	1,25	4,50	10,00
„ბეტისი“ — „ლივერპული“	2,20	3,10	2,87
პსვ — „შალკე“	2,20	3,10	2,87
14 სექტემბერი			
„არსენალი“ — „თუნი“	1,16	5,50	12,00
„ბენფიკა“ — „ლილი“	1,80	3,10	4,00
„ბრიუგე“ — „იუვენტუსი“	4,50	3,20	1,70
„უდინეზე“ — „პანათინაიკოსი“	1,70	3,20	4,50
„ვილიარეალი“ — „მანჩ.იუნაიტედი“	2,40	3,10	2,60
„ვერდერი“ — „ბარსელონა“	2,90	3,20	2,15
„რაპიდი“ — „ბაიერნი“	4,50	3,30	1,66
„სპარტა“ — „აიაქსი“	2,15	3,20	2,75
15 სექტემბერს გაიმართება უეფას თასის გათამაშების მორიგი ეტაპის შეხვედრები. გთავაზობთ ზოგიერთი მათგანის კოეფიციენტებს			
„რენი“ — „ოსასუნა“	2,25	3,10	2,80
„სლავია“ — „კორკი“	1,25	4,50	10,00
„დინამო“ (ბუქ) — „ევერტონი“	2,62	3,10	2,37
„ჰიბერნიანი“ — „დნიპრო“	2,15	3,30	2,80
„მიდლსბრო“ — „ქსანთი“	1,28	4,50	8,00
„მონაკო“ — „ტილბურგი“	1,30	4,33	8,00
„ბოლტონი“ — „ლოკომ“(პლოვდ.)	1,36	3,75	8,00
„სევილია“ — „მაინცი“	1,30	4,33	8,00

პირველად, 50 წლის წინათ...

50 წლის წინათ, 1955 წლის 7 სექტემბერს, ფეხბურთელი პეტერ პოლოტაში პირველი ადამიანი გახდა, რომელმაც ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში (დღეს ჩემპიონთა ლიგის სახელწოდებით რომ ტარდება), ერთ შეხვედრაში სამი ბურთი გაიტანა, ანუ, როგორც ამბობენ, „ჰეთ-თრიკი“ შეასრულა.

ეს იყო ევროპის ყველაზე პრესტიჟული საფეხბურთო ჯილდოს პირველი გათამაშების დროს.

შეჯიბრებაში უნგრეთიდან საფეხბურთო კლუბი „ვერეშ ლობოგო“ ასპარეზობდა (უფრო ადრე ეს გუნდი მტკ-ს სახელით გამოდიოდა, მაგრამ უნგრეთში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, პოლიტიკური სიტუაციის შეცვლასთან დაკავშირებით სახელი შეუცვალეს).

ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე შეხვედრაში 1955 წლის 7 სექტემბერს „ვერეშ ლობოგო“ ბელგიურ „ანდერლეხტს“ დაუპირისპირდა. თამაში უნგრელებმა 6-3 მოიგეს და ამ გატანილი 6 ბურთიდან 3 პოლოტაშის ანგარიშზე იყო. ამ ფეხბურთელმა მთელი თავისი კარიერა „ვერეშ ლობოგოში“ გაატარა.

ისტორიული შეხვედრის მონაწილემ კაროი შანდორმა აღნიშნა, რომ 1954 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატზე უნგრეთის ნაკრების მიერ ვერცხლის მედლების მოპოვებაში პოლოტაშს რაიმე გადამწყვეტი როლი არ შეუსრულებია, თუმცა, უნგრულ ფეხბურთს მაინც გაუთქვა სახელი.

„ის ძლიერი, დიდი ფეხბურთელი იყო, შედეგიანი თავდამსხმელი, რომელსაც ბევრჯერ მოუტანია ბურთის გატანით გამოწვეული სიხარული გულშემატკივრებისათვის,“ — იხსენებს 75 წლის შანდორი.

უნგრეთის ნაკრებში პოლოტაშის დებიუტი 1950 წლის 24 სექტემბერს — ალბანელებთან შეხვედრაში შედგა. ეს თამაში უნგრელებმა რეკორდული ანგარიშით 12-0 მოიგეს! ორი წლის შემდეგ პოლოტაში უნგრეთის ნაკრებთან ერთად ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალს დაეუფლა ჰელსინკში. ფინალში პოლოტაშმა და მისმა თანაგუნდელებმა 2-0 სძლიეს იუგოსლავიის ძლიერ გუნდს.

სულ, ოლიმპიური თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ საფეხბურთო შეჯიბრებაში უნგრელებმა 20 ბურთი გაიტანეს, აქედან ოთხი პოლოტაშის ანგარიშზეა. მაშინ უნგრეთის ნაკრების საბაზო გუნდი იყო „ჰონვედი“, რომლის შემადგენლობაშიც თამაშობდნენ დიულა გროშიჩი, ლორანტი, იოჟეფ ბოჟიკი, შანდორ კოჩიში, ფერენც პუშკაში, ზოლტან ციბორი — ესენი ქვეყნის ეროვნული გუნდის წევრებიც იყვნენ, თუმცა, მტკ-საც ჰყავდა თავისი წარმომადგენლობა — პოლოტაში, ჰიდეგკუტი, მიხაი ლანტოში და იოჟეფ ზაკარისი.

ისევ მსოფლიოს 1954 წლის ჩემპიონატს დავუბრუნდეთ. პირველივე შეხვედრაში უნგრელებმა 9-0 სძლიეს სამხრეთ კორეის გუნდს. ორი გოლი პოლოტაშმა გაიტანა. მოგვიანებით, ნახევარფინალში ტრავმის გამო, უნგრეთის ნაკრებს ვერ დაეხმარა ფერენც პუშკაში, მისი ადგილი პოლოტაშმა კი არა ჰიდეგკუტიმ დაიკავა — მწვრთნელმა ასე ინება. ბევრი ფიქრობს, პოლოტაშს რომ ეთამაშა, შეიძლება უნგრეთის ნაკრებისათვის უფრო უკეთესი ყოფილიყო. სულ პოლოტაშმა უნგრეთის ნაკრების შემადგენლობაში 24 შეხვედრა ჩაატარა და მეტოქეთა კარი 18-ჯერ აიღო. ყველაზე კარგად 1955 წელს ფინელებთან შეხვედრაში ითამაშა (5-1), უკანასკნელად ნაკრების მაისური 1956 წლის 9 ივნისს მოირგო პორტუგალიელებთან დაპირისპირების დროს (2-2).

პოლოტაში ფეხბურთიდან ნაადრევად — 30 წლის ასაკში წავიდა იმის გამო, რომ გული აწუხებდა... გარდაიცვალა 1967 წლის 17 მაისს. ვეტერანი შანდორი გვირჩევს: „თუ გინდათ გაიგოთ როგორ თამაშობდა თავის დროზე პოლოტაში, შეხედეთ ფრენკ ლემპარდს!“

©Zoltán Thaly

ფედერერი რეკორდთან ახლოს, კლიისტერსი კი ტრიბუნაზე გაიჭრა

აშშ-ის ღია პირველობა ქალთა შორის ბელგიელმა კიმ კლიისტერსმა მოიგო. ფინალში მან 6:3, 6:1 დაამარცხა მერი პირსი. მანამდე კლიისტერსმა, ნახევარფინალში ასპარეზობას გამოთიშა რუსი მარია შარაპოვა. ბელგიელი ფინალში ყველა კომპონენტში სჯობდა პირსს.

„კიმი ყველაზე სწრაფი ჩოგბურთელია იმათგან, ვისაც მე შევხვედრივარ აშშ-ის ღია პირველობებზე. ის მუდამ შეტევაზეა. ვგრძნობდი, რომ წავაგებდი,“ — განაცხადა ფინალური შეხვედრის შემდეგ მერი პირსმა.

„ეს გამარჯვება ჩემთვის ბევრს ნიშნავს“, — ეს სიტყვები კიმ კლიისტერსს ეკუთვნის, რომელმაც თავის სიცოცხლეში პირველად მოიგო „დიდი სლემის“ შეჯიბრება. ბელგიელმა ჯილდოდ 2,2 მილიონი დოლარი მიიღო. ახლა კლიისტერსის მიზანია გახდეს

მსოფლიოს პირველი ჩოგანი.

და კიდევ ერთი. გამარჯვების შემდეგ გახარებული კლიისტერსი ტრიბუნაზე გადავიდა....

ვაჟთა შორის უძლიერესის ტიტული მოიპოვა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, შვეიცარიელმა როჟე ფედერერმა. მისი მეტოქე ფინალში ამერიკელი ანდრე აგასი იყო. პირველი სეტი ფედერერმა 6:3 მოიგო, მეორეში უპირატესობას აგასი ფლობდა — 6:2. დაძაბული გამოდგა მესამე სეტი, რომელიც შვეიცარიელმა 7:6 მოიგო. მან აღმავლობით ჩაატარა მეოთხე სეტიც (6:1) და ჩემპიონი გახდა. ეს გამარჯვება ფედერერისათვის მეორე აშშ-ის ღია პირველობაზე და მეექვსე — საერთოდ, „დიდი სლემის“ ტურნირებში. „მე ჩემი საუკეთესო ჩოგბურთი ვითამაშე, — აღნიშნა ფედერერმა აგასისთან შეხვედრის შემდეგ, — სიმბოლურია, რომ ფინალში ჩემი მეტოქე ლეგენდადქცეული ანდრე აგასი იყო. ბედნიერი ვიქნები, თუ მას მომავალში კიდევ შევხვდები.“

ფედერერს ცოტაღა აკლია ჯონ მაკინროუს რეკორდამდე, ამ უკანასკნელმა ერთ წელიწადში 85 ჩატარებული შეხვედრიდან 82 მოიგო და 13 ტიტული მოიპოვა. ფედერერის მონაცემები კი ამ მომენტისათვის ასეთია: 74 შეხვედრა, 71 გამარჯვება და 10 ტიტული.

* * *

გუშინ ატპ-მ და ვტა-მ ჩოგბურთელთა მორიგი რეიტინგები გამოაქვეყნეს. ვაჟთა შორის როჟე ფედერერი ლიდერობს როგორც საერთო ჩათვლაში (6975), ისე წლევანდელ საჩემპიონო რბოლაში (1210), ორივე „განხრით“ მეორე ადგილზეა ესპანელი რაფაელ ნადალი — შესაბამისად 4360 და 853 ქულით. საერთო ჩათვლაში მესამე ადგილზეა რუსი მარატ საფინი — 3255, ხოლო წლევანდელ საჩემპიონო რბოლაში ეს ადგილი ამერიკელ ენდი როდიკს უკავია 548 ქულით.

ქალთა შორის წლევანდელ საჩემპიონო რბოლაში 4113 ქულით დაწინაურდა კლიისტერსი, მეორე ადგილზეა ამერიკელი ლინდსეი დევენპორტი (3644), ხოლო მესამეზე — მარია შარაპოვა (3391). ეს უკანასკნელი საერთო ჩათვლაში ლიდერობს 4802 ქულით. აქაც მეორე ადგილზეა დევენპორტი (4427), ხოლო მესამეზე — კლიისტერსი (4201)

ცოტაც და...

ალონსოს ჩემპიონობამდე მესამე ადგილიც აყოფნის

„მაკლარენის“ პილოტმა კიმი რაიკონენმა (სურათზე) „ფორმულა 1“-ის მორიგი ეტაპი — ბელგიის გრან პრი მოიგო. ამ გათამაშებაში ფერნანდო ალონსოს რომ აეღო პირველი ადგილი, ვადამდე გაიფორმებდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ რაიკონენი ვერ მიაღწევდა ფინიშამდე... ფინელმა პილოტმა საკმაოდ დამაჯერებლად იასპარეზა. ფინიშამდე ცოტა ხნით ადრე გადაუსწრო საერთო ჩათვლაში ეროვნულ ლიდერს ფერნანდო ალონსოს („რენო“). გამარჯვებული რაიკონენის შედეგია 1 საათი, 30 წუთი და 01,295 წამი. მეორე ადგილზე ალონსო გავიდა, მესამეზე — ჯენსონ ბატონი („ბარი“). რბოლის დროს გრან პრისათვის ბრძოლას გამოეთიშნენ იარნო ტრული „ტოიოტა“ და ჯანკარლო ფიზიკელა („რენო“). ეს უკანასკნელი ტრასიდან გადავიდა, დაეჯახა საბურავებით აშენებულ „კედელს“ და ბოლიდი ძლიერ დაუზიანდა. რაც შეეხება მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს, „ფერარის“ პილოტს მიხაელ შუმახერს, იგი მე-18 ადგილზე აღმოჩნდა.

SPA-FRANCOR

საერთო ჩათვლაში ფერნანდო ალონსოს 111 ქულა აქვს და მეორე ადგილზე მყოფ კიმი რაიკონენს 25 ქულით უსწრებს. თუ შემდგომ ეტაპზე „რენოს“ პილოტი მინიმუმ მესამე ადგილს დაიკავებს, ოფიციალურად გახდება მსოფლიოს ჩემპიონი.

კონსტრუქტორთა თასზე „რენოს“ 152 ქულა აქვს, ხოლო „მაკლარენს“ — 146.

ტიტული მოტეხილი ხელით დაიცვა

ვბო-ს ვერსიით მეორე საშუალო წონაში მსოფლიო ჩემპიონმა ჯო კალზაგემ კარდიფში მეორმოცე გამარჯვება იზეიმა პროფესიულ რინგზე. მან თავისი ტიტული წარმატებით დაიცვა ევანს აშირასთან ბრძოლაში.

ორთაბრძოლა კალზაგემ აგრესიულად დაიწყო. ის შეუჩერებლივ უტევდა მეტოქეს. მეოთხე რაუნდში ჯომ მარცხენა ხელი მოიტეხა (კალზაგე ცაციაა და შესაბამისად მისი მთავარი იარაღი მარცხენა ხელია)... დარჩენილ 12 რაუნდის განმავლობაში ის პრაქტიკულად ცალი ხელით იბრძოდა.

საბოლოოდ, კალზაგემ ბრძოლა ქულებით მოიგო. ამის შემდეგ მას იბფ-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონთან ჯეფ ლეისთან უნდა ებრძოლა დეკემბერში, მაგრამ ხელის ტრავმის გამო, ეს შეხვედრა გაურკვეველი ვადით გადაიდო. პრომოუტერმა ფრენ უორენმა განაცხადა, რომ ბრძოლა კალზაგესა და ლეისს შორის თებერვალში გაიმართება.

მოზლი ემზადება

მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი სამ წონით კატეგორიაში შეინ მოზლი 17 სექტემბერს იბრძოლებს ხოსე ლუის კრუზთან. მოზლის სამომავლოდ დიდი გეგმები ჰქონია. 17 სექტემბრის ბრძოლისათვის მზადების დროს ის ამუშავებდა კორპუსზე დარტყმების მიყენებასა და კომბინაციებს, რაც ადრე მის მთავარ იარაღს წარმოადგენდა.

„ჩემი მიზანია, დავიბრუნო ძველი თვისებები, რომლის წყალობით ბევრი მნიშვნელოვანი გამარჯვება მომიპოვებია, — ამბობს შეინ მოზლი. ის კრივის მოყვარულებს საინტერესო სანახაობას ჰპირდება.

კორი სფინქსი სხვა წონაში იბრძოლებს

ნახევრად საშუალო წონაში მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი კორი სფინქსი, რომელმაც ამა წლის თებერვალში დაკარგა ტიტულები ყველა ვერსიით ზაბუ ჯუდასთან ბრძოლაში დამარცხების შედეგად, შედარებით მძიმე წონით კატეგორიაში გადადის. სფინქსი უახლოეს ბრძოლას დეკემბერში ჩაატარებს. მისი სავარაუდო მეტოქეები არიან ოსკარ დე ლა ჰოია, შეინ მოზლი, ფლოდ მეიზევერი, რიკარდო მაიორგა და ფერნანდო ვარგასი.

ფორესტი 21 ოქტომბერს იჩხუბებს

მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ვერნონ ფორესტი აგრძელებს წარმატებულ სვლას. მას 36 ბრძოლა აქვს მოგებული, უახლოეს ორთაბრძოლას ფორესტი 21 ოქტომბერს გამართავს ელაო გარსიას წინააღმდეგ.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



13 სექტემბერი, სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია რუსთავი-2. საფეხბურთო მიმოხილვა (22.00) ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონთა ლიგა. „ეინდჰოვენი“ — „შალკე“ (22.40), ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (1.00), *НТВ*. ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონთა ლიგა. „ჩელსი“ — „ანდერლეხტი“ (22.35), ბილიარდი (2.30), *НТВ плюс спорт*. „ჰარმონიის ფორმულა“ (10.25), ჰოკეი (10.45), ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობის გადამწყვეტი შეხვედრები (13.45), ამერიკული ფეხბურთი. ნფლ-ის ჩემპიონატი (16.45), ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. ქალთა ფინალი (19.45), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონთა ლიგა. „ბეტისი“ (ესპანეთი) — „ლივერპული“ (ინგლისი). პირდაპირი (22.35), „ჩელსი (ინგლისი) — „ანდერლეხტი“ (ბელგია) (0.50). EUROSPORT. მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი მაროკოში. ფინალი (10.30), ფეხბურთი. ევროგოლები (11.30), ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა არქივიდან (12.30), ველოსპორტის შეჯიბრება ესპანეთში (17.00), კრივი (22.00), სატვირთო ავტომანქანების რბოლა (1.15). *НТВ плюс online*. ჭადრაკი. საერთაშორისო ტურნირი მოსკოვში (12.00), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონთა ლიგა. „მილანი“ (იტალია) — „ფენერბახჩე“ (თურქეთი. პირდაპირი (22.35).

14 სექტემბერი. ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონთა ლიგა. „ლიონი“ — „რეალი“ (15.25). საფეხბურთო მიმოხილვა (22.00), ევროპის ჩემპიონთა ლიგა. „ვერდერი“ (გერმანია) — „ბარსელონა“ (ესპანეთი) (22.40), ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (1.00). *НТВ плюс спорт*. „ჰარმონიის ფორმულა“ (10.25), ცხენოსნობა. მსოფლიო თასის ეტაპი (10.45), ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობის გადამწყვეტი შეხვედრები (12.15), ბურთიანი ჰოკეი (14.55), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონთა ლიგა. „ვილიარეალი“ (ესპანეთი) — „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი). პირდაპირი (22.35), „რაპიდი“ (ავსტრია) — „ბაიერნი“ (გერმანია) (0.50), კალათბურთი (4.00), EUROSPORT. ფეხბურთი. ევროგოლები (10.30), ველოსპორტი (12.00), სუმო, ნაგოია ბასუ (19.30), ოლიმპიური თამაშები ათენში (20.30), ცხენოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (21.00), გოლფი (23.00), აფროსნობა (1.00), *НТВ плюс online*. ჭადრაკი (12.00), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონთა ლიგა. „ვერდერი“ (გერმანია) — „ბარსელონა“ (ესპანეთი (22.35).

15 სექტემბერი, ხუთშაბათი

НТВ плюс спорт. ბურთიანი ჰოკეი (10.45), ჩოგბურთი (12.30), ატპ-ის საჩოგბურთო მიმოხილვა (18.15), კალათბურთი. ნბა-ს ფინალი (19.00, 4.00), EUROSPORT. ექსტრემალური სპორტი (10.30), ცხენოსნობა (11.00), ველოსპორტი. (12.00), „ყველაფერი სპორტის შესახებ“ (14.00), ფეხბურთი. პროგრამა „გოლი“ (14.30), კრივი (14.45), ველოსპორტი. შეჯიბრება ესპანეთში (16.00), სუმო. ნაგოია ბასუ (19.30), მოტორბოლა. აშშ-ის ჩემპიონატი (21.30), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (22.30), ფეხბურთი. უეფას თასი (0.45), *НТВ плюс online*. ბურთიანი ჰოკეი (14.55, 17.55).

მესიე მიდის

ვარაუდობენ, რომ მიმდინარე კვირაში დიდი ჰოკეიდან წასვლის შესახებ განცხადებას გააკეთებს ლეგენდარული **მარკ მესიე**. 44 წლის მესიემ ნჰლ-ში 1756 შეხვედრა ჩაატარა.

ველოსიპედიდან გადმოვარდა...

„ფორმულა1“-ის გუნდ უილიამსის პილოტი ნიკ ჰაიდფელდი, როგორც ჩანს, ზედიზედ მესამე გრან პრის გათამაშებას გამოტოვებს. მან იტალიასა და ბელგიაში არ იასპარეზა თავის ტკივილების გამო, ახლა კი ტრავმა მიიღო — ველოსიპედიდან გადმოვარდა და ხელის თითები დაიზიანა.

ისინბაევა საუკეთესო მძლეოსნად აღიარეს

ჰოკით ხტომაში მრავალგზის რეკორდსმენი ელენა ისინბაევა მსოფლიოს 2005 წლის საუკეთესო მძლეოსნად აღიარეს. ისინბაევას განცხადებით ის აპირებს, იასპარეზოს კიდევ ორ შეჯიბრებაში — შანხაისა და იოკოჰამაში. რის შემდეგაც სამი კვირის განმავლობაში ზღვაზე დაისვენებს.

კროსვორდი

თარაზულად: 1. ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 6. საავტომობილო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია (შემოკლებით), 8. ცნობილი თურქი ფეხბურთელი, 11. ინგლისის საფეხბ. კლუბი, 13. საჩოგბურთო მოედანი, 14. ესპანეთის საფეხბ. კლუბი, 19. მწვერვალი კავკასიონზე, 21. ქალაქი, რომელსაც ჰყავს გუნდი „ვერდერი“, 22. იალქანი, ანუ... 24. სპორტის სათამაშო სახეობა, 25. იტალიის საფეხბ. კლუბი, 26. დანიის საფეხბ. გუნდი, 27. ცნობილი ხორვატი საფეხბ. სპეციალისტი, რადომირ... 29. ცნობილი იაპონელი ფეხბურთელი, 30. ცნობილი არგენტინელი ვაჟი ჩოგბურთელი, 31. საქართველოს საფეხბ. კლუბი, 32. გერმანიის საფეხბ. კლუბი.

შვეულად: 2. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი, ტიერი... 3. ფალავნებით ცნობილი რაიონი რაჭაში, 4. საბერძნეთის საფეხბ. კლუბი, 5. ცნობილი ნორვეგიელი ფეხბურთელი, 7. შვეიცარიის საფეხბ. კლუბი, 8. საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, 9. ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (შემოკლებით), 10. ძალოსნური ორჭიდის სახეობა, 12. ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი 1956 წელს, 15. ნბა-ს ქართველი კალათბურთელი, 16. შაიბიანი ჰოკეის სამშობლო, 17. ცნობილი საბჭოთა ვაჟი ტანმოვარჯიშე, 19. ზამთრის ოლიმპიადის (1924 წ) მასპინძელი ქალაქი, 20. წარსულში ცნობილი თურქი ფალავანი, 23. ფეხბურთის სპეციალისტის კაპელოს სახელი, 28. გაფრთხილება ძიუდოში.



წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 6. ტურინი, 9. კვირკველია, 11. შახლინი, 12. „დინამო“, 14. კიზირია, 17. ბერლინი, 18. ბოისა, 19. ორიო, 20. ნუნუ, 21. ბრიჯი, 22. „ბრანი“, 23. ბოტა, 24. მსაჯი.

შვეულად: 1. „ტვენტე“, 2. ტრამპლინი, 3. ივო, 4. ულიე, 5. შაშო, 6. ტახტი, 7. რაიტი, 8. „ნაიკი“, 10. ოდა, 13. ანანდი, 14. კასანო, 15. „რეჯინა“, 16. ანტიჩი, 17. „ბორდო“.

საჭადრაკო ამოცანა

ა. ანდერსენი

(„ლონდონ ნიუსი“, 1846 წელი)



შამათი 5 სვლაში

№70-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:
1. კh5! მფ:h5! 2. მg3+ მფh4 3. მფf4 h5 4. მf5X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 98-23-94, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport2005@yahoo.com